გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 69 (1085) | ხუთშაბათი, 22 ივნისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო—ისრაელი: თანამშრომლობის ფართო ჰორიზონტები

საუბარი პრეზიდენტთან.

დამთავრდა ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ისრაელში

ბენ-გურიონის აეროპორტში.

ერუსალიმ-თელ-ავივი. 20 ნისი. საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი იური ლდიანი და სახელმწიფოს თაურის პრესსამდივანი ვაა ბინიშვილი:

პრომატებული და ნაყოფიერი ოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწი მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს დელეგა ის ოფიციალური ვიზიტს ის ელში. სამდღიანი სამუშაო გრამა უაღრესად გადატვირთ ლი იყო. შეხვედრები და მო ლაპარაკება მეტად ხანმოკლე პა რებით მიმდინარეობდა. დღეს, ადრიან ედუარდ შევარდნა ე და მისი თანმხლები პირნი ნ გაემგზავრნენ კიბუც ცურაში რომელიც იერუსალიმსა და თელ- ივს შორის მდებარეობს. იგი არსდა 1948 წელს თელ-ავივი დან იერუსალიმისაკენ მიმავალი ავტომობილო გზის დაცვის მიზ ით. დღეს იგი მძლავრი მრავა დარგოვანი მეურნეობაა.

ედუარდ შევარდნაძეს აცნობეს, რომ კიბუც ცურის წლიური ბრუ ნვა 25 მილიონი დოლარია. აქ ცხოვრობს 210 კომლი — ათა სამდე კაცი. ისინი მთლიანად უზრუნველყოფილი არიან უფასო ბინით, საკვებით, სოციალური და სამედიცინო მომსახურებით. კი ბუცის მოწყობის პრინციპებია: თითოეულისაგან უნარის მიხე დვით, — თითოეულს მოთხოვნის მიხედვით“. კიბუცის ყველა ხე ლმძღვანელის თანამდებობა არ ჩევითია გარკვეული ვადით. ხელმძღვანელობა გავლენას არ ახ დენს კიბუცის წევრის შემოსავა ლზე. აქ ულევლივ ყველა იღებს ხელფასს.

ედუარდ შევარდნაძემ დაათვა ლიერა მეცხოველეობის ფერ მა, რძის, საკვების დამზადების საამქროები. მან ინტერესი გამ ოიჩინა ამ სასოფლო-სამეურნეო ერთეულის მოწყობისა და საქმი ანობის პრინციპებისადმი, მაღალი შედეგები მისცა სასოფლო-სა მეურნეო და საწარმოო პროცე სების ტექნიკური უზრუნველყო ფის დონეს. შემდეგ დელეგაცია აშკელონს ეწვია. ამ უძველეს ქა ლაქში, რომელიც ზღვის ორი ათ ასეული მანძილზე მეორედ და ყოს, დასახლდა საქართველო დან ამოსულ ებრაელთა 600- მდე ოჯახი.

დილაადრიან ასობით ადამია ნი შეიკრიბა აშკელონის ცენტრა ლურ მოედანზე. მქუხარე ოვა ციით შეხვდნენ ისინი ედუარდ შევარდნაძეს, ყველას სურდა, ხე ლი ჩამოერთმია, ახლოს მისულ იყო საქართველოს სახელმწი ფოს მეთაურთან და ჩვენი ქვეყ ნის დელეგაციის წევრებთან, რომლებიც ამ ადამიანებისათვის სიმბოლურად წარმოადგენდნენ მათ მეორე სამშობლოს — სა ქართველოს. ქართველ ებრაელ თა სათვისტომოს დღესასწაულ ის სახლში გაიმართა სტუ მრების და მასპინძელთა — ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ერთი ქვეყნის — საქართველოს მო ქალაქეთა შთამბეჭდავი შეხვედრა. დიდ დიდხანს ეხსომებათ ამ შეხვედრის მონაწილეებს.

შემთხვევითი არ რომ მიესალმა რა შეკრე ბილთ, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: დარბაზში ბევრი ნა ცნობი, მეგობარი ვნახე, როგორც თაობის, ისე ახალგაზრდე ბის.

— გისურვებთ ყველა თქვენ თაგანს, თქვენს ოჯახებს, თქვენს შვილებსა და თქვენს ქვეყანას, ბე დნიერებასა და აყვავებას, — თქვა მან. — ისრაელში იმიტომ ჩამოვედი, რომ ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ერთად ხელი მოვაწერო შეთანხმებებს, რომელ იც დღეიდან სახელმწიფო დონეზე შეუწყობენ ხელს ორი ხალხის — ქართველთა და ებრ აელთა ათასწლოვანი თანამშრო მლობისა და მეგობრობის განგრ ძობას. არაერთხელ მითქვამს, და ახლაც მინდა გავიმეორო, აქ თქვენს წინაშე, რომ ისრაელში, ჩამოვედი იმ ქვეყნის წარმო მადგენლად, რომელმაც 26 სა უკუნის წინათ კარი გაუღო ებ რაელთ და უთხრა: მოდით, ერ თად ვიცხოვროთ და გავიზიაროთ ჭირი და ლხინი გამარჯვებათა სიხარული და მარცხებათა სიმწარეო. ამ საუკუნეთა მანძილზე ორი ხალხი ერთ მიწაზე ერთმანეთის გვერ დით ცხოვრობდა — ირჯებოდნენ, შრომობდნენ, და თუ მარცხდებოდნენ, ერთად მარცხდებოდნენ.

— თქვენ რომ ახლა აქ, თქვენს ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობთ, — აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, — იმის პირველი ნიშანია, რომ მსოფლიო სულ სხვაგვარად ცხოვრობს. მახსოვს, რა სიძნელეთა გადალახვა მოგიწიათ, რათა ისრაელში გადასახლებულიყავით. კედელი მარტო თბილისში როდი იყო აღმართული. არსებობდა კედელი, რომელიც მსოფლიოს ყოფდა. ახლა იგი აღარ არის. და რომ ეს ასეა, დღეს რომ ერთად ვართ, ამაში არის საქართველოს გარკვეული დამსახურებაც, მათ შორის, ჩემი წვლილიც...

დღეს ჩემს ქვეყანას უჭირს. მისი ტერიტორია გახლეჩილია. გუშინ შევხვდი ყოფილ სოხუმელებს. მინდა აღვითქვათ თქვენ, საქართველოს ყველა მცხოვრებს, ისევე როგორც აფხაზეთიდან განდევნილ 800 ათას ქართველს: ყველანი დაუბრუნდებიან თავიანთ კერებს, დაუბრუნდებიან აფხაზეთს და აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს. აგრესორები, რომლებიც ჟლეტენ ადამიანებს, ცეცხლს უშენენ მათ, ჯერ კიდევ არ გადაშენებულან, მაგრამ მათი დღეები დათვლილია.



ჯვრის მონასტერში.

მე აქ მხოლოდ მაშინ ჩამოვედი, — თქვა შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — როცა დავრწმუნდი, რომ საქართველო ფეხზე წამოდგება. ქვეყანაში წესრიგი მყარდება. ჩვენ სახელმწიფოდ ვიქეცით, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს თავისი ამოცანები. ჩვენ გვაქვს საკუთარი პარლამენტი, მალე საქართველო და ქართველი ხალხი მიიღებენ კონსტიტუციას, რომელიც დააკანონებს თავისუფლებასა და დემოკრატიას საქართველოში. გაიმართება ახალი პარლამენტის არჩევნები. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ახლანდელზე უკეთესი იქნება იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა დაინახა, ვის შეიძლება ენდოს და ვის — არა. უნდა გაიმართოს პრეზიდენტის არჩევნებიც. საქართველოში დღეს ბევრი ღირსეული ახალგაზრდაა, რომლებიც შეიძლება გახდნენ პარლამენტარები, სახელმწიფო მოღვაწენი.

— ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას, რომლის კარი ყველასათვის ღია იქნება, — ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, — ყველა თქვენგანს მივესალმები, გულში ვიკრავ. არ მინდა, რომ საქართველო თქვენთვის დაკარგული იყოს, რომ თქვენ საქართველო დაკარგოთ. მალე ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ფეხზე დადგება. თუმცა ისრაელის მოქალაქეები იქნებით, მაგრამ შეგეძლებათ ჩვენთან ჩამოსვლა, საქართველოში საკუთარი სახლის შეძენა, მამაპაპათა საფლავების მოვლა. გარწმუნებთ, საქართველო იზრუნებს თავისი შვილებისათვის.

როგორც სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, იერუსალიმში ხელმოწერილ შეთანხმებათა მიხედვით, საქართველოს მცხოვრებლებს შეეძლებათ თავისუფლად ჩამოვიდნენ ისრაელში. მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა ისრაელის ხელმძღვანელებთან საუბრების შედეგების გამო, რომლებშიც დაისახა ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის საინტერესო პერსპექტივები. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ წლის დამლევამდე გაიხსნება საქართველოს საელჩო ისრაელში. შესაძლოა, მან იერუსალიმში იმუშაოს.

დასასრულ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ უსურვა შეკრებილთ, საქართველოდან ამოსულ ყველა ებრაელს ბედნიერება და ჯანმრთელობა, მშვიდობა და კეთილდღეობა.

სტუმრებსა და აშკელონის მცხოვრებლებს მიესალმა ისრაელის პრეზიდენტი ეზერ ვეიცმანი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს ისრაელისა და საქართველოს მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. პრეზიდენტი შეეხო დიდ წვლილს, რომელიც ქვეყნის ძლიერებისა და ეკონომიკის განმტკიცებაში, მისი კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, სხვა დარგების განვითარებაში შეიტანეს ქართველმა ებრაელებმა, თქვა, რომ ქვეყანა ამაყობს ამ ადამიანებით.

შეკრებაზე გამოვიდნენ ქალაქ აშკელონის აღმასრულებელი მერი, ისრაელში ქართველ ებრაელთა გენერალური ასოციაციის თავმჯდომარე შაბთაი ცური, ისრაელში ქართველ ებრაელთა გენერალური ასოციაციის რაბინთა მეთაური რაფიელ ალაშვილი და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს, თუ რა სულიერი ურთიერთობა აკავშირებთ თავიანთ მეორე სამშობლოსთან, ურთიერთობა, რომელიც არასოდეს შეწყვეტილა. ვცდილობთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ჩავუნერგოთ საქართველოსთან და მის ხალხთან ებრაელთა სულიერი ნათესაობის ტრადიციები, — მღელვარედ ამბობდნენ ორატორები. ისრაელში გამოდის გაზეთები და ჟურნალები ქართულ ენაზე. სტუმრებს სიამაყით აცნობებს, რომ აშკელონის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. სტუმრებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს სიმღერებმა და ცეკვებმა, რომლებიც ამ კოლექტივის მსახიობებმა შეასრულეს.

ედუარდ შევარდნაძის, მისი მეუღლის, საქართველოს დელეგაციის წევრთა შეხვედრა აშკელონის მცხოვრებლებთან გადაიქცა ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობის დიდ, დაუვიწყარ ზეიმად.

აშკელონიდან მანქანების კორტეჟი ქალაქ თელ-ავივში ჩავიდა. აქ „ჰილტონის“ სასტუმროში ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ისრაელ ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენლებს.

იმავე სასტუმროში გამართულმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესკონფერენციამ პრესის წარმომადგენელთა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ვერ დაიტია მასში მონაწილეობის მსურველი ყველა ჟურნალისტი.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ძალიან კმაყოფილია ისრაელში თავისი ვიზიტის შედეგებით. მან შეკრებილთ აცნობა ისრაელის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, ქნესეთის სპიკერთან, მის დეპუტატებთან, ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოღვაწეებთან საგნობრივი საუბრების შინაარსი.

— ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ისრაელის რიგით მოქალაქეებს იერუსალიმსა და თელ-ავივში მათ სახლებში, ქუჩებში და მოედნებზე. ერთი საათის წინ დავბრუნდი ქალაქ აშკელონიდან, — თქვა საქართველოს დელეგაციის მეთაურმა. — და აუღელვებლად ვერ ვილაპარაკებ იქ გამართული შეხვედრების შესახებ. იქ დამხვდნენ ჩემი თანამემამულენი, ბევრი მეგობარი, ახლობელი, რომლებიც კარგად ცხოვრობენ ისრაელში, კარგად მუშაობენ და თქვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი არიან.

ვიზიტის მთავარ შედეგად ისრაელში ედუარდ შევარდნაძემ დაასახელა ორ ქვეყანას შორის შეთანხმებათა პაკეტის ხელმოწერა. მათ შორისაა — ინვესტიციების დაცვის, სამოქალაქო ავიაციის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში.

— მიმაჩნია, რომ ეს ვიზიტი და დოკუმენტების ხელმოწერა, — თქვა საქართველოს მეთაურმა, — ლოგიკურად აგვირგვინებს ორი ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციულ ურთიერთობას, რაც მრავალი ათასწლეულია გრძელდება. ყოველივე ეს ქართველ და ებრაელ ხალხებს, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისია.

ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა ისრაელ ბიზნესმენებთან შეხვედრის გამო. მან აღნიშნა, რომ ისრაელისა და საქართველოს საქმიანი სამყაროს წარმომადგენელთა დიალოგმა დაადასტურა, „თუ რა კარგი პერსპექტივები აქვს ჩვენს ქვეყნებს შორის საქმიანი თანამშრომლობის განვითარებას“.

საუბარი პრემიერ-მინისტრთან.

— მე კი ვიცოდი, რომ ისრაელმა ბევრ წარმატებას მიაღწია ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მაგრამ ნანახმა ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. — ყოველივე ეს საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ საქართველოც დაძლევს სიძნელეებს, ჩვენი მრავალტანჯული ხალხიც თქვენი დახმარებით მიაღწევს შესაბამის სიმაღლეებს. მინდა ისრაელის ხელმძღვანელებს, ყველა მოქალაქეს საქართველოს დელეგაციის ყველა წევრის სახელით მადლობა მოვახსენო გულისხმიერების, გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

პრესკონფერენციის დასასრულ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

...წინა დღით კი, 19 ივნისს ისრაელში ვიზიტის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მოვლენა გახდა ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, მისი მეუღლე, დელეგაციის წევრები ეწვივნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერს — ქართული კულტურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლს. აქ გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები დიდმა რუსთაველმა, რომლის ფრესკაც შემორჩენილია ძეგლის ერთ-ერთ კედელზე წარწერით — პორტრეტის ერთ მხარეზე — „რუსთაველი“, მეორე მხარეზე — „ამის დამწერს მე შოთა შეუნდოს ღმერთმა ამინ“.

მღელვარებით ათვალიერებენ საქართველოს წარგზავნილები უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უკანასკნელ განსასვენებელს, ქართულ წარწერებს.

ედუარდ შევარდნაძემ ჯვრის მონასტერს ძღვნად მიართვა ღვთისმშობლის ხატი.

საპატიო სტუმართა წიგნში სახელმწიფოს მეთაურმა ჩაწერა: „ყოველთა ქართველთა ეს უწმინდესი სალოცავი — ჯვრის მონასტერი უნდა მოინახულოს საქართველოს ყველა მოქალაქემ, რათა განიწმინდოს ამქვეყნიური შეცოდებებისგან“.

იმავე დღეს საღამოს გაიმართა შეხვედრა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრთან შიმონ პერესთან. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ისრაელის თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივები. აღინიშნა, რომ საქართველოს ესაჭიროება დახმარება ეკონომიკის განვითარებისათვის, დაისახა ამ კუთხით გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა გზები. ისრაელის დღევანდელ სტრატეგიაზე საუბრისას ბატონმა შიმონ პერესმა აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფოს დღევანდელ კაბინეტს მომავალ არჩევნებში, რომელიც გაისად გაიმართება, ალბათ აქვს სამშვიდობო კურსი. „ჩვენ, როგორც პარტიამ, შეიძლება პოლიტიკურად წავაგოთ, მაგრამ ისტორიულად მოვიგებთ. შედეგი 10-15 წელიწადში გამოვლინდება. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია მშვიდობა, ვიდრე არჩევნების მოგება“, — თქვა მან. იმ რთული რეგიონის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად, რომელშიც ისრაელია, შიმონ პერესმა დაასახელა ცხოვრების დონის სხვაობა. დღევანდელ კაბინეტს მიაჩნია, რომ ქვეყანას ძლიერს ხდის არა მისი ტერიტორიული სიდიდე, არამედ მისი ინტელექტუალური პოტენციალი, ამიტომ ყველაზე დიდი აქცენტი განათლებაზეა გადატანილი.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაეთანხმა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ყველაზე მომგებიანია ინვესტიციების ჩადება მეცნიერებაში.

საუბრის დასასრულ, ბატონებმა შიმონ პერესმა და ალექსანდრე ჩიკვაიძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საავიაციო ტრანსპორტის თაობაზე.

მოგვიანებით ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სადილი გამართა ქართული დელეგაციის პატივსაცემად. სადილს ესწრებოდნენ ისრაელის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების წარმომადგენლები. თავისი სიტყვა ბატონმა შიმონ პერესმა დაიწყო რუსთაველის ციტატით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ეს სიტყვები ზუსტად ასახავდა იმ განწყობილებას, რომელიც შეხვედრაზე სუფევდა.

საპასუხო სიტყვაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ფართოდ მიმოიხილა საქართველოს პრობლემები, მისი პოტენციალი და ხაზი გაუსვა იმ დიდ სიყვარულსა და სითბოს, რომელიც ქართველ ხალხს აკავშირებს ებრაელებთან. დასასრულ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის.

...20 ივნისს, დილის მეორე ნახევარში ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები პირნი თბილისს გაემგზავრნენ. ბენ-გურიონის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საზეიმო გაცილება.

ისრაელის პრეზიდენტმა ეზერ ვეიცმანმა და ედუარდ შევარდნაძემ სიტყვები წარმოთქვეს. ნაკრებმა სამხედრო ორკესტრმა შეასრულა საქართველოს რესპუბლიკისა და ისრაელის სახელმწიფო ჰიმნები.

ორი სახელმწიფოს მეთაურები გულთბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს თვითმფრინავის კიბესთან. რამდენიმე წუთის შემდეგ საქართველოს კომპანია „ორბის“ ავიალაინერმა კურსი თბილისისაკენ აიღო.

თვითმფრინავში თანმხლებ ქართველ ჟურნალისტთა თხოვნით ედუარდ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია, უპასუხა მათთვის საინტერესო კითხვებს.

ასოშიეიტედ-პრეს — საქინფორმის და ვასილ მაღლაფერიძის ფოტო.

სოლიკო ხაბეიშვილი — ქართული ტერორიზმის ახალი მსხვერპლი

20 ივნისს, დილის 9 საათსა და 50 წუთზე ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, თავისივე საცხოვრებელი სახლის წინ ჯერჯერობით დაუდგენელი ორი ბოროტმოქმედი თავს დაესხა და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ ვიცე-პრეზიდენტი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სოლიკო ხაბეიშვილი და სასიკვდილოდ დაჭრა მისი მძღოლი აკაკი დალაქიშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

თავდასხმა მოხდა მაშინ, როცა სოლიკო ხაბეიშვილი სამსახურებრივ ავტომანქანაში ჯდებოდა.

აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განკარგულებით სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მუშაკებისაგან შეიქმნა ერთიანი საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფი.

გამოძიება დაიწყო.

„სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა არის საქართველოში წესრიგის დამყარებისათვის შურისძიება“

ცნობა სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ისრაელში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროს შეიტყო. გზად საქართველოსკენ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თვითმფრინავში გამართა პრესკონფერენცია. სოლიკო ხაბეიშვილის მუხანათური მკვლელობის გამო მან განაცხადა:

საქართველომ დაკარგა დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, თავისი ბუნებით, ხასიათით, მოწოდებით ჭეშმარიტად თავდადებული პიროვნება. სიტყვები არ მყოფნის ჩემი გრძნობების გამოსახატავად. სოლიკო ხაბეიშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. პიროვნებამ, რომელიც უსამართლოდ იხდიდა სასჯელს, მოძებნა თავის თავში ძალა და საზოგადოებაში კუთვნილი ადგილი დაიკავა, ვიტყოდი, რომ საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეთა რიგში ჩადგა.

ვის აძლევს ყველაფერი ეს ხელს? ვისთვისაა ეს საჭირო? იმათთვის, ვინც მხოლოდ ამღვრეულ წყალში ცდილობს თევზის დაჭერას. როგორც კი იმედისმომცემი ვითარება შეიქმნება, მაფიოზები და მკვლელები ჩაიდენენ ისეთ რამეს, რაც შეგნებულად აფერხებს ქვეყანაში გაჯანსაღების და გამოცოცხლების პროცესს. ეს არის შურისძიება საქართველოში წესრიგის დამყარებისათვის. ამჟამად მათ მსხვერპლად სოლიკო ხაბეიშვილი აირჩიეს.

დიდია ტკივილი, მწუხარება, მაგრამ კიდევ უფრო დიდია მზადყოფნა იმისათვის, რომ ეს ბრძოლა არ შენელდება, პირიქით, გაათკეცდება, გაასკეცდება, მთელი საქართველო ფეხზე დადგება და მკვლელებს საკადრისად მიეზღვებათ.

მივმართავ ძალოვან სტრუქტურებს, ეს უკვე მერამდენე ზარია: საქართველოში ტერორიზმი უნდა მოისპოს და ეს მათ აუცილებლად უნდა გააკეთონ.

ფორუმის — კულტურათა დიალოგის თბილისში გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი სოლიკო ხაბეიშვილი იყო. იგი ეწვია იუნესკოს გენერალურ მდივანს ფედერიკო მაიორს, მოიარა მრავალი ქვეყანა და მოინახულა მსოფლიოს ცნობილი მოღვაწეები. დღეისათვის ბევრმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო ამ საკაცობრიო მნიშვნელობის ფორუმში. მსოფლიო დაინტერესდა იმით, რომ ქვეყანას, რომელმაც სულ რაღაც ერთი წლის წინათ სამოქალაქო ომი გადაიტანა, აქვს უნარი უმასპინძლოს გამოჩენილ მოღვაწეებს და წამოიწყოს მსოფლიო მნიშვნელობის დიალოგი ისეთ თემაზე, როგორიც არის კულტურის როლი სიძულვილის, შეურიგებლობისა და ძალადობის დაძლევაში. ტერორისტებს შეეშინდათ იმისა, რომ საქართველო კიდევ უფრო პოპულარული და ავტორიტეტული გახდება. მათ სურთ უკუღმა დაატრიალონ ჩარხი, მხოლოდ ამაზე ოცნებობენ. დაახლოებით ცნობილია, რა ძალებიც მოქმედებენ: ის, ვინც, ჩამოცილდა ცხოვრებას, ვინც იარაღით თარეშობდა და მარცვავდა ხალხს და ქვეყანას.

მინდა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოს წინსვლას ველარაფერი შეაფერხებს.

საკონსტიტუციო კომისიაში

გუშინ გაიმართა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მორიგი სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

რამდენიმე დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ კომისიამ დაასრულა კონსტიტუციის პროექტის მესამე თავის — „საქართველოს პარლამენტი“ — განხილვა. სხდომაზე მსჯელობა გაიმართა 51-65 მუხლების გამო. კერძოდ, ლაპარაკი იყო პარლამენტის სტრუქტურაზე, რესპუბლიკის საბჭოს და სენატის მუშაობის წესზე. ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს რესპუბლიკის პრეზიდენტის (თუ კი ასეთი თანამდებობა შემოღებული იქნება) თანამდებობიდან გადაყენების სენატის უფლებამოსილებას რესპუბლიკის საბჭოს მიერ პრეზიდენტისადმი ბრალდების წარდგენის საფუძველზე. განიხილეს აგრეთვე პარლამენტისა და პრეზიდენტის ურთიერთმიმართების საკითხი. პარლამენტიც ძლიერი უნდა იყოს და პრეზიდენტიც, ითქვა სხდომაზე. საბოლოოდ კი, ორივე ხელისუფლება ქვეყანაში სტაბილურობის გარანტად უნდა მოგვევლინოს. ამავდროულად პრეზიდენტი უნდა იყოს გამაწონასწორებელი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. გამოითქვა მოსაზრება, რომ საგანგებო ვითარების დროს მინისტრთა კაბინეტს ჰქონდეს კანონ-დეკრეტების მიღების უფლება.

საკონსტიტუციო კომისიის გუშინდელ საღამოს სხდომაზე განიხილეს კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავი — „რესპუბლიკის პრეზიდენტი“.

პუბლიკაცია

რაც კარგად მახსოვს...

რამდენიმე ეპიზოდი ვლადიმერ დეკანოზოვის ვაჟის რეჯინალდ დეკანოზოვის მოგონებებიდან

კომენტარი

„სასტიკად გაზღვევინებთ ამას!..“

რეჯინალდ დეკანოზოვის მოგონებებს კომენტარს უკეთებს მწერალი თამაზ ნატროშვილი

3

მადლობის წერილი

მსოფლიო კინოს 100 წლისთავის ფონდის ხელმძღვანელობამ, რომელშიც შედიან ნატალია გუნდარევა, რუსტამ იბრაგიმბეკოვი, ანდრონ კონჩალოვსკი, ელდარ შენგელაია, თეიმურაზ შენგელაია, გამოუგზავნა წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

ღრმად პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც გაუწიეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეროვნულ კინემატოგრაფიებს. თქვენს მიერ გამოცემულმა ბრძანებულებამ მსოფლიო კინოს 100 წლისთავის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის საქმიანობის შესახებ, რომელიც კულტურის საჭიროებებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის მაგალითია, საფუძველი ჩაუყარა მთელი ფონდის საქმიანობას. საქართველო პირველია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის, რომელმაც მიიღო კინემატოგრაფიისათვის ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ჩვენ, მსოფლიო კინოს 100 წლისთავის ფონდის ხელმძღვანელობა გპირდებით, რომ თქვენი მხარდაჭერით შექმნილი ორგანიზაცია ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ქართულ კინემატოგრაფიას.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელი ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 18-დან 25 წლის ასაკამდე წვევამდელები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება და სამედიცინო კომისიების მიერ მიჩნეულ იქნებიან ვარგისად სამწყობრო სამხედრო სამსახურისათვის, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე ექვემდებარებიან გაწვევას, ვინაიდან აფხაზეთიდან გადაადგილებული ახალგაზრდები დროებით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და რაიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური გამწვევი კომისია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისრის თავმჯდომარეობით. კომისიის მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი დავაკისროთ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის გამწვევ და სამედიცინო კომისიებს.

2. აფხაზეთის ტერიტორიიდან გადაადგილებული წვევამდელების აღრიცხვა და გაწვევა განხორციელდეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონული კომისარიატების მიერ მათი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არსებული წესითა და მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გასაწვევ უწყებებში — პერსონალურ უწყებებში აღნიშნულ ვადაში და მისამართზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამხარეო, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა სამართალდამცავმა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, გამგეობებთან და მერიებთან არსებულმა შტაბებმა და საინიციატივო ჯგუფებმა აფხაზეთის მკვიდრი წვევამდელების სამხედრო სამსახურში გაწვევისას:

— ჩაატარონ იგივე სამუშაო და მიიღონ ისეთივე ზომები, როგორც რაიონებში მუდმივად მცხოვრები ახალგაზრდების გაწვევისას, არსებული კანონმდებლობის თანახმად;

— აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელების გაწვევა მოახდინონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომისარიატისათვის დაშვებული გეგმა-დავალების შესაბამისად.

5. აფხაზეთის მკვიდრ წვევამდელებისათვის სამსახურის ვადის განვადების, სამხედრო სამსახურიდან მოქმედი კანონის თანახმად განთავისუფლებისა და სხვა სააპელაციო საკითხებს გადაწყვეტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური გამწვევი კომისია.

6. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაერთიანებულ სამხედრო კომისარიატს:

— დააზუსტოს წვევამდელთა სიები თავიანთი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— უზრუნველყოს ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ქუთაისში, წყალტუბოში, ზუგდიდში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ქ. ბათუმსა და ქ. რუსთავში დროებითი გამწვევი პუნქტების მუშაობა.

7. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს, გაუწიონ დებულებებით გათვალისწინებული დახმარება ახალგაზრდების სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული მუშაობის ჩატარებაში.

8. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია,

1995 წლის 16 ივნისი.

სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტისა და აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე სამოქალაქო დიპლომატიის მუდმივი მისიის განცხადება

სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი და აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე სამოქალაქო დიპლომატიის მუდმივი მისია გულწრფელ და ღრმა სამძიმარს უცხადებენ იმ უდანაშაულო ადამიანების ყველა ნათესავს და ახლობელს, რომლებიც ბუდიონოვსკში ემსხვერპლნენ დუდაევის ბანდიტთა ჯგუფს შამილ ბასაევის მეთაურობით..

ბუდიონოვსკის ტრაგედიას შემთხვევითობად ვერ მივიჩნევთ. იგი გახდა ხელისუფალთა უპასუხისმგებლობის შედეგი. ხელისუფლებმა დროზე ვერ შეიგნეს თუ რა საფრთხე შეიძლება მოჰყვეს სეპარატიზმსა და ექსტრემიზმსა, ვერ გაითავისეს ადამიანთა ის ტანჯვა, რომელიც მათ მოუტანეს საზოგადოებას და ახლაც მოაქვთ.

ბუდიონოვსკში მომხდარი ტრაგედიის ფესვები, უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთშია. სეპარატისტულმა დაჯგუფებამ ვლადისლავ არძინბას მეთაურობით, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება აფხაზეთში ჩეჩენ სეპარატისტთა აქტიური შეიარაღებული დახმარებისა და რუსეთის რეაქციული წრეების მხარდაჭერით, განახორციელა იქ ქართველი მოსახლეობის გენოციდი, აჰყარა მშობლიური ადგილებიდან 250 ათასზე მეტი ქართველი, სომეხი, ბერძენი, რუსი. უმძიმესი სამხედრო დანაშაული ჩაიდინა აფხაზეთში ჩეჩენთა ბატალიონმა შამილ ბასაევის მეთაურობით.

ჩეჩნეთში დუდაევის, ხოლო აფხაზეთში — არძინბას დანაშაულებრივი რეჟიმები აღმოცენდა ერთსა და იმავე ნიადაგზე — ალვირახსნილი სეპარატიზმის, ექსტრემიზმის, სიცრუის, ორპირობისა და ბანდიტიზმის ნიადაგზე. ისინი ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და ახლაც განაგრძობენ ერთად მოქმედებას. ამჟამად ორივე რეჟიმი აგონიაშია, და დაუშვებელია, რომ ისინი გადარჩნენ და კვლავ ჩაიდინონ დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. მათმა მეთაურებმა პასუხი უნდა აგონ ნამოქმედარისათვის.

დასაგმობია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოს ცალკეულ დეპუტატთა ცდები რუსეთის ეროვნულ ინტერესებად გაასაღონ თავიანთი საკუთარი მისწრაფებანი წინასაარჩევნო ბრძოლაში. რითაც, არსებითად, მხარს უჭერენ ვ. არძინბას დანაშაულებრივ რეჟიმს, ილაშქრებენ რუსეთის ფედერაციისა და მისი ბუნებრივი მოკავშირის — საქართველოს რესპუბლიკის დაახლოების წინააღმდეგ. კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის და თვით რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობისათვის, უეჭველად, საშიშია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის დარღვევით თათრეთის, ბაშკირეთის, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკების მიერ ვ. არძინბას სეპარატიულ რეჟიმთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულებები.

ბუდიონოვსკში მომხდარი ტრაგედია მკაცრი გაფრთხილება უნდა გახდეს ყველა იმათთვის, ვინც კვლავაც ასხამს წყალს სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის წისქვილზე.

1 რეპორტაჟი

იმერეთი XXI საუკუნის კარიბჭესთან



ვაჟა-ფშაველადან ჰერმან ვედეკინდამდე

..**სულმნათ** აკაკი წერეთელზე „გაბრაზებული" მარგალიტების მთესველი, მთის არწივი ვაჟა-ფშაველა 1913 წელს მაინც ჩაიდა ქუთაისში და ზრდილობიან-ტაქტიანღიმილიანი იმერლების ანთებული თვალები რომ დაინახა, ბაჯაღლო გულიდან კიდევ ერთი მარგალიტი ამოხეთქა: **„ერთხანად ჩემო მძრახო, ლიხს იქითურო დედაო! ვხედავ, რომ შამრიგებიხარ, მით შენთან ხალმმს ვხედაო, შაერთებულად შენშია ქართლსა და კახეთს ვხედაო, ფარხმალო საქართველოხავ, ხხვაცა გბაძავდეს ნეტაო! ის მომწონს, თავის ქვეყნისა კარიბს რო მაგრა ჰკეტაო, ვნება ნუ ახცდეს, სავნებლად ვინაც შენ გაგიმეტაო!".**

მე მხოლოდ შეგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ გენიოსი ვაჟა-ფშაველა იმერეთში, ქუთაისში შეერთებულ ქართლსა და კახეთს ხედავდა, იმერეთს საქართველოს ფარ-ხმალს უწოდებდა და ოცნებობდა, ნეტაი, სხვაცა გბაძავდესო!..

დღეს, როცა საქართველოს სამხარეო მოწყობაზეა ლაპარაკი, ზოგიერთს ვითომც არ ესმის, რომ საქართველო მრავალი საუკუნეა ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებად არის დაყოფილი და თუ:

ამ ისტორიის მრავლისმეტყველი გაკვეთილებიდან სწორ დასკვნებს გამოვიტანთ, საკუთარი ღობის იქით (კეთილი თვალით!) გადავიხედავთ, რიგით ადამიანებს, თუნდაც ამწუთში მათ რწმუნებულები ერქვათ, ნიშნის მოგებით იმერეთის ან ქართლის, კახეთის ან სამეგრელოს, გურიის ან რაჭა-ლეჩხუმის „მეფე-გუბერნატორს" არ ვუწოდებთ, ერთმანეთს კრიჭაში არ ჩავუდგებით (ო, ეს ყველაზე შემზარავი თვისება!), ერისა და ქვეყნის სიმწრით შექმნილ სიმდიდრეს უსინდისოდ არ მივითვისებთ და ამ სამარცხვინო მოვლენას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის „მებრძოლის" სტატუსით არ გავამართლებთ, და რაც უმთავრესია: საქართველოს გონიერებასა და ღონიერებას — ამერ-იმერს არ დავაცალცალკევებთ — მაშინ ნანატრ კონსენსუსამდეც მივალთ და საუკუნეების წინათ ღმერთისა და ჩვენი მრავალტანჯული ხალხის მიერ აფხაზეთად, სამეგრელოდ, აჭარად, გურიად, სამცხე-ჯავახეთად, სვანეთად, რაჭა-ლეჩხუმად, იმერეთად, ქართლად, კახეთად, მთიანეთად წოდებულ მამულს მართლაც საკუთარი შვილივით გავუფრთხილდებით და მომავალსაც რიგიანს ავაშენებთ.

მგონი, სულაც არ უნდა იყოს ვინმესთვის „ღლმაშფოთებელი" ამ უწმინდეს საქმეში თუ რომელიმე მხარე, ამ შემთხვევაში თუნდაც იმერეთი, ერთ-ერთ წამყვან როლს შეასრულებს... ერთ-ერთს და არა ერთადერთს!

...80 წელს გადაცილებული ცნობილი გერმანელი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი ახლახან საქართველოს საპატიო მოქალაქე გახდა. ცოტა უფრო ადრე ის ქუთაისის საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს... ქუთაისში ერთ-ერთ შეხვედრაზე (მას რესპუბლიკის ყველა მხარის წარმომადგენლები, ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწენი ესწრებოდნენ), ბატონმა ჰერმანმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მისი პირადი ქონება, უნიკალური ნივთები, ხელოვნების ნიმუშები ქუთაისს აჩუქა და საცხოვრებლადაც ქუთაისში დამკვიდრდა. ზაარლანდის მხარის კულტურისა და მეცნიერების სამინისტრომ ნება დართო ჰერმან ვედეკინდს მის მფლობელობაში არსებული ქონება საქართველოში, ქუთაისში გადმოიტანოს...

მაინც, რამ შეაყვარა ასე პრაგმატულ, საოცრად გაწონასწორებულ გერმანელს საქართველო და ქართველები?

ამ რამდენიმე წლის წინათ მე ძალიან ცუდად ვიყავი, — ამბობს ბატონი ჰერმანი, — მწოლიარეს, სხვებთან ერთად თქვენი გამოჩენილი პოეტი მორის ფოცხიშვილი მეწვია, მან მომიალერსა და მესიისავით მითხრა: **ადექი, ჰერმან, შენ აუცილებლად კარგად გახდები და დიდხანს იცოცხლებ...** მე მართლაც ავდექი, თამამად გავიარე და... იმის შემდეგ, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია ჩემს საყვარელ საქმეს — ხელოვნებას ისევ ერთგულად ვემსახურები... თითქმის იგივე განმეორდა ამ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც თემურ შაშიაშვილმა წერილი მომწერა გერმანიაში — **ჩვენო კეთილო მეგობარო, ქუთაისში ჩამოდიო...** ისევ მძიმე ავადმყოფი წამოვდექი ლოგინიდან და... ქუთაისში ჩამოვედი... ჩამოვედი და საბოლოოდ აქ დავმკვიდრდი...

ბოლოს ჰერმან ვედეკინდი იტყვის: **ქუთაისი არის თბილისის დედა, თბილისი არის ქუთაისის შვილი! თბილისმა და ქუთაისმა ყველაზე მეტი უნდა იტვირთონ საქართველოს აღორძინებლად! მე მჯერა, რომ ჩემი საყვარელი საქართველო მალე წამოდგება ფეხზე, საქართველოს უკვდავების სიმბოლოდ უნიკალური ქართული კულტურა და ხელოვნება მესახება, რომლის ერთ-ერთ მსახურადაც ვთვლი თავს...**

ჰერმან ვედეკინდი ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ღამის 12 საათი იყო, ქუთაისის მერიის ახალ, ძირითადად უცხოელებსა და საპატიო სტუმრებთან შეხვედრებისათვის განკუთვნილ „თეთრ" დარბაზში ხანში შესული, იუბილარი ადამიანები სჯარბობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურს ჰიათურასა და ტყიბულში საპატიო მიზეზების გამო ძალიან შეაგვიანდა, წასვლა არავის უცდია.

ის, რაც ქალაქის მერიაში ხდება, — **უდიდესი მონდომებით, ენთუზიაზმით შრომა — როგორც ჩანს, გადამდებია. მით უმეტეს, რომ გული არასოდეს ბერდება და ლოგინში უფერულ სიკვდილს, ღრმა სიბერემდე საქმესთან ყოფნა სჯობს. რა თქმა უნდა, მამაზეციერმა თუ დაგვაცალა...**

ჰერმან ვედეკინდის ცხოვრება იმის კლასიკური მაგალითია, თუ რა შეუძლია სიხარულს (გულს ხომ სიხარული აცოცხლებს!), თანადგომას, მოფერებას. შინაომისაგან აშლილ, ეკონომიკურად გაპარტახებულ ქვეყანაში ჩამოდის მილიონერი შვილების მამა, მსოფლიოს ერთ-ერთი პრიმა სახელმწიფოს მოქალაქე და აქ აპირებს სიცოცხლის ბოლო წლების გატარებას...

მაინც რა ასეთი ამოუხსნელი ფენომენია ქართველთა სტუმართმოყვარეობა?

მაინც რა ასეთი სითბო აქვს ქუთაისსა და ქუთაისელებს?

სიკეთე გათითოკაცებულია, ბოროტება კი გაერთიანებული!

სამ თვეზე ცოტა მეტი გავიდა, რაც იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი ამ რანგში პირველად შეხვდა ზონაში შემავალი რაიონების ხელმძღვანელებს. ბევრი რამ მოილაპარაკეს, არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზებსა და კონკრეტულ თარიღებზეც შეთანხმდნენ, მაგრამ...

— სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი, — გულწრფელად ამბობს მხარის სახელმწიფო რწმუნებული, — შეგპირდება, ყოველმხრივ დაგაიმედებს, მერე კი დანაპირები ავიწყდება. ამ სამ თვეში, ნამდვილად მეგონა, რომ მეტს გავაკეთებდით, რეგიონზე მეტ ზეგავლენას მოვახდენდით. პირველსავე შეხვედრაზე მოსახლეობამ მრავალი სატკივარი გაგვიზიარა, ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, ხალხთან პირდაპირ, გულახდილ დიალოგებს ჩვენ მაშინ იმედის შეხვედრები ვუწოდეთ. ეს იმედები, ვიმეორებ, ჯერჯერობით, ვერ გამართლდა.

— **ბატონო თემურ, მე ვნახე ვანის, ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის, ხარაგოულის და მხარის სხვა რაიონებიდან თქვენს სახელზე გამოგზავნილი წერილები. მათი ავტორების უმრავლესობა მართლაც უდიდეს იმედებს ამყარებს თქვენზე და საერთოდ სამხარეო პროკურატურის, კონტროლის პალატის, სხვა ხოლიდური დანაყოფების სამართლიან მუშაობაზე. საკითხების უმრავლესობა, სამწუხაროდ, რაიონული ადმინისტრაციული ორგანოების ნაკლოვანებებს ეხება. სამ თვეში კი ეს გლობალური პრობლემა ვერ გადაიჭრებოდა. მთავარი მაინც ის არის, რომ ხალხში იმედი გაჩნდა...**

— გეთანხმებით, მაგრამ კრიმინალური ბანდებისაგან გატანჯულ ხალხს ეჩქარება. მიუხედავად სერიოზული ძვრებისა, წესრიგი, რომელიც ქუთაისში და იმერეთის მხარეშია, დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს. მე როცა საერთო ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობ, ყოველთვის მოვითხოვ (რა თქმა უნდა, საკუთარი თავით ვიწყებ), რომ დღეს უმთავრესია:

ახლებურად მოაზროვნე მერია, ახლებურად მოაზროვნე გამგეობა;

ძლიერი, პრინციპული, შეუვალი ხაგადასახადო სამსახური;

მობილური პოლიცია:

ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში კანონისა და კანონიერების დაცვის სრული ბატონ-პატრონი, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იყოს პროკურატურა. დემოკრატიული საზოგადოება აშენდება მხოლოდ იქ, სადაც ხელმძღვანელობაში განათლებული, მაღალპროფესიული, მოუსყიდავი ხალხია. მე კარგად მესმის, რომ ჩვენში სიკეთე ჯერ კიდევ გათითოკაცებულია, ბოროტება კი — გაერთიანებული. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, ჩვენს სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება იაფი სახელმწიფო მოხელე, ანუ ხელმძღვანელი მუშაკი, იაფი პოლიციელი, იაფი მასწავლებელი და ა. შ. ჩვენ გვსურს ვუხელმძღვანელოთ ამ პროცესებს, მაგრამ დღემდე არა გვაქვს კანონი სახელმწიფო მოხელის შესახებ (გვპირდებიან, რომ პარლამენტი მალე მიიღებს ამ კანონს), ჩვენ არა გვაქვს მწყობრი სისტემა ახლებურად ხელმძღვანელობისა. სისტემის გარეშე კი ძალიან გვიჭირს...

— **გამოდის, რომ მხარეებად დაყოფის და სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი ჯერ წელგამართული ვერ მუშაობს...**

— რომ მუშაობს, იმიტომაც ხედავს ამდენ პრობლემას, იმიტომაც ვცდილობთ, რომ ხელმძღვანელობის ჯანსაღი სისტემა შევქმნათ. ჩვენმა ოპონენტებმა რაც უნდა გვაკრიტიკონ, მრუდსა და მართალს ხალხი ხედავს, ხვალ და ზეგ კიდევ უფრო დაინახავს. პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში ჩაძირულ ქვეყანას რაიონების ურთიერთდახმარებაზე, ნამდვილ თანადგომაზე დამყარებული, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული, სისტემაში, ანუ როგორც იტყვიან, აჟურში მოყვანილი ურთიერთობა, საყოველთაო წესრიგისა და დისციპლინისათვის ერთობლივი ბრძოლა უფრო წაადგება, ვინემ გაუთავებელი კამათი ჩვენს „გუბერნატორობაზე", რაიონების „სეპარატისტულ ზონებად" დაყოფაზე, ძლიერ მეზობელთან დამოუკიდებლად „ზავის" დადებაზე, დაქუცმაცებულ სამეფოებად ჩამოყალიბებაზე და ა. შ.

...**9 ივნისს**, ედუარდ შევარდნაძე იმერეთის მხარის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ გამოკვეთილად ეტყვის: **უმთავრესი, რასაც საქართველოს სამხარეო მოწყობა ამ ეტაპზე გვაძლევს, არის ის, რომ ჩვენ ამით ვამოკლებთ გზას ოსური და აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ. სამხარეო ადმინისტრაცია და მისი ხელმძღვანელი, ანუ სახელმწიფო რწმუნებული უადვილებს რაიონებს ურთულესი პრობლემების მოწესრიგებას, მათ შორის, წესრიგის დაცვას, რომლის გარეშეც დემოკრატიული, ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს მშენებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

ყველაფერი ნათელი და გასაგებია. ყოველივე ეს მთელი საქართველოს, თითოეული ქართველის გასაგონად იყო ნათქვამი. თანაც, სამხარეო დაყოფის პრინციპი, მით უფრო, რწმუნებულის (და არა „მეფე-გუბერნატორის") თანამდებობა ექსპერიმენტის სახით დაინერგა. თუ არ გაამართლებს, თუ ხალხი მხარს არ დაუჭერს, უმტკივნეულოდ გაუქმდება. უმტკივნეულოდ, რადგან სამხარეო სტრუქტურებში, ძირითადად ადგილობრივი, საგანგებოდ შერჩეული კადრები არიან გადანაწილებულნი და არსად „გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი" არ არის. იმერეთის მაგალითზე პირიქით უფროა — ქუთაისის მერი მხარის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას ითავსებს და ღამეებს ათენებს (ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით), რომ სწორი, ჯანსაღი სახელმწიფო პოლიტიკა მთელ იმერეთში (ქუთაისი+11 რაიონი, 700.000 მცხოვრებით!) გაატაროს... ეს რომ ვერ დაინახო, ბრმა უნდა იყო...

იქნებ, მხარეებად დაყოფის „ექსპერიმენტში", მისი მოსალოდნელი სავალალო შედეგები კი არ იყოს მთავარი, არამედ ამ შედეგების გამომწვევი ძველისძველი მიზეზი: ჩვენ ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა და თანამედროვე, პირსა და ლხინში ერთ მუშტად შეკრული ერის ცნებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ...

დიდი ილიას „ბედნიერი ერი" გახსოვთ? — მისი დაწერის დღიდან 125 წელიწადი გავიდა...

სპარტაკ ქობულია.

სურათებზე: ძველი და ახალი ქუთაისის ხედები.

ხვალისათვის დღესვე ვიზრუნოთ

ცალს ცალმა უნდა უცალოს

ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჰუმანიტარული დახმარების ხაზით (მხოლოდ სატრანსპორტო ხარჯები გადავიხადეთ), საქართველოში 90 ტონაზე მეტი 21 დასახელების ბოსტნეულ-ბაღჩეულის თესლეული შემოვიდა. პირველი პარტია, 41 ტონის ოდენობით, აპრილში, მეორე კი (50 ტონაზე მეტი) მაისის პირველ დეკადაში მივიღეთ.

მადლობას ვუხდით დონორი ქვეყნის ამ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციას და „კავკასიის პროგრამების" დირექტორს, ბატონ როჯერ შრაგეს, მის მთელ კოლექტივს. ეს თესლეული მისი მეშვეობით შემოვიდა, გადმოიტვირთა, განლაგდა და დახარისხდა. ასე და ამგვარად დღეისათვის გვაქვს მაღალხარისხოვანი დავადებების საწინააღმდეგოდ ქიმიურად დამუშავებული ხახვის, პომიდორის, წიწაკის, სტაფილოს, ყაბაყის, საზამთროს, ნესვის, გოგრის, ყვავილოვანი კომბოსტოს, ბოლოკის, თალგამის, სალათის, ნიახურის, ოხრახუშისა და მაღალხარისხოვანი სხვა თესლები. აღსანიშნავია, რომ სათესლე მასალა შერჩეულია საქართველოს კლიმატური პირობებისათვის.

ჩამოთვლილი თესლების გამოყენება წლევანდელ სეზონისათვის ჯერ კიდევ შეიძლება, მით უმეტეს, რომ განმეორებითი და გარდამავალი თესვები წინ არის. მომხმარებელი თესლების გამოყენების თაობაზე კონსულტაციებს კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, „ბოსტანჯიშთესლის" მაღაზიებში მიიღებს, რომლებიც ძირითადად ბაზრების ტერიტორიებზეა განლაგებული.

განგიმარტავთ, რომ ამერიკაში ერთი კილოგრამი ბოსტნეულის თესლი 50-დან 70 დოლარამდე ღირს. წლეულს იგი რესპუბლიკის შავ ბაზარზეც თითქმის ასეთივე ფასებში იყიდებოდა. ჩვენ ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად, ერთი კილოგრამი თესლეულის ღირებულება საშუალოდ ერთი მილიონი კუპონის ოდენობით განვსაზღვრეთ.

საქართველო თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. მას შეუძლია ბოსტნეულის მდიდარი ასორტიმენტის ხარისხიანი თესლი აწარმოოს. მარტო ჩვენი მოხრანული კიტრი რად ღირს ან ჩვენებური კახური წითელი ხახვი, ჰოპორტის პომიდორი, შავი ბადრიჯანი, ქართული ნიორი და სხვა, იმის თქმა გვინდა, რომ სამომავლოდ მოწყალებას ნუ დაველოდებით და ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების თესლეული ჩვენ თვითონ ვაწარმოოთ, საამისოდ ყველა პირობა გვაქვს ღვთით ბოძებული. ქართულ ხნულს ჩვენებური თესლი უფრო მოუხდება. როგორც ამბობენ — ცალს ცალმა უნდა უცალოს.

გია მორჩაძე,
„ბოსტანჯიშთესლის" რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი.

სამშობლო

არ გავცვლი სალსა კლდეებსა!..

ხეობა, რომელიც არ დამარცხებულა



დღეს ბევრმა იცის კოდორის ხეობა, ანუ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ვეძახით, დალის ხეობა.

საქართველოს იურისდიქცია ამჟამად აფხაზეთში მხოლოდ დალის ხეობაში მდებარე 17 სოფელზე ვრცელდება.

ჩვენთვის აფხაზეთის ომი არ დამთავრებულა. ჩვენ ამ ომში არ დავმარცხებულვართ: ვიბრძოდით, მკერდით შევაჩერეთ მტერი და დღესაც მკერდით ვიცავთ აქაურობას, რომელიც ჩვენთვის სრულიად საქართველოს წარმოადგენს და სანამ აქ მცხოვრები უკანასკნელი ქართველი არ დაეცემა, აქედან ფეხს არ მოვიცვლით და არც არავის შემოვუშვებთ ამ ტერიტორიაზე.

კოდორის ხეობა დაახლოებით 100 კილომეტრია. იწყება სოფელ მაზარკიდან და მთავრდება საკენით — ჰუბერის უღელტეხილით. ამ ხეობის ზედა ნაწილში, დაახლოებით 50 კილომეტრზე, 17 ქართული სოფელია განლაგებული. დღეს „საზღვარი" სოფელ ლათასთან გადის. მისი ქვედა ნაწილი და ცენტრი უკავიათ აფხაზებს, ზემო უბანში ჩვენ ვართ გამაგრებული. შუა ნაწილში კი სამშვიდობო ძალები დგანან —რუსები და გაეროს წარმომადგენლები.

დალის ხეობაში სამშვიდობო ძალების შემწეობით ამჟამად სროლები აღარ არის. მოწინააღმდეგის მხრიდან დივერსიებიც არ ხდება. შეიძლება ითქვას, რომ სამშვიდობო ძალებმა დადებითი როლი შეასრულეს დაპირისპირების ამ ზოლში. დღეს აქ სისხლი რომ არ იღვრება, ამისთვის მადლობელი ვართ მათი.

საარტილერიო სროლების შედეგად, სოფლებში სახლები დამწვარი და დანგრეულია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მორალურად არ დაცემულა. დღესაც მტკიცედ დგას. ოჯახები ცხოვრობს; ვხნავთ, ვთესავთ, მოსავალს ვიწევთ, ხალხს ჰყავს საქონელი. ხეობაში სამი საშუალო სკოლაა — აჟარაში, ჩხალთასა და გენწვიშში. დანარჩენ სოფლებში დაწყებითი სკოლებია. გენწვიშის საშუალო სკოლას სათავეში ჩაუდგა ღირსეული პედაგოგი გივი ჩოფლიანი. დღეს იქ ბავშვები სწავლობენ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წლიდან ყველა სკოლა ამუშავდეს.

ვიცით, რომ სრულიად საქართველოს აწუხებს ჩვენი მდგომარეობა, მთელი საქართველო ამაყობს ჩვენით. თუმცა შეფერხებებით, მაგრამ მაინც ვღებულობთ ჰუმანიტარულ დახმარებას.

ბევრი ვაჟკაცი დავკარგეთ ამ ომში, ბევრიც დაგვეჭრა. მართალია, მთელმა საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო და ყველა დაღუპული ერთნაირად სატირალია ყველასთვის, მათ შორის ჩვენთვისაც, ქედს ვიხრით ყველა გმირის ხსოვნის წინაშე, რომელთაგან ბევრის სახელი საქვეყნოდაც გახმიანდა, მაგრამ დღეს მინდა საქართველოს გავაცნო ის მამულიშვილები, რომლებიც ჩვენი კუთხის შვილები იყვნენ და თავისი სახლ-კარის დაცვას, ამდენად საქართველოს მთლიანობის დაცვას შეეწირნენ. მათ ნაკლებად იცნობს საქართველო სხვადასხვა მიზეზის გამო. არადა, ღირსი არიან, რომ სხვათა დარად, მათაც მიეგოთ ღირსეული პატივი.

მათ მოხსენიებას კამანელებით დავიწყებ. ეს პატარა, სვანებით დასახლებული სოფელი სოხუმის მისადგომებთან, სოფელ შრომის გვერდით მდებარეობს. მისი მცხოვრებლები დალის ხეობელთა უახლოესი ნათესავები იყვნენ (იყვნენ იმიტომ, რომ დღეს ეს სოფელი აღარ არსებობს).

1993 წ. 5 ივლისს მტრის მრავალრიცხოვან (დღეს ცნობილია, რომ ამ ოპერაციაში მოწინააღმდეგის 10 ბატალიონი მონაწილეობდა), კბილებამდე შეიარაღებულ საჯარისო ნაწილებს შეებნენ კამანელები. იბრძოლეს, სანამ უმრავლესობა (ქალების ჩათვლით) გმირულად არ დაეცა ბრძოლის ველზე, ესენი არიან: **ადამ (ედიკ) და ელგუჯა გვიჩიანები, გოგი და ზურაბ გურჩიანები, ვალოდია და მალხაზ კახიანები, ეგნატე კვიციანი, შოთა და რევაზ კვანჭიანები, ალექსანდრე გამსახურდია, ზურაბ გიორბელიძე, ნუგზარ რაზმაძე (რუსთავიდან), გუნტურ გულედანი, ზაზა და მერი პაკელიანები (მერის ხიმამაცეზე ლეგენდებს ყვებიან), თამაზ და ინდიკო ჩხეტიანები, ანზორ ხუბელიანი.**

მანამდე კი მაისში უთანასწორო სასტიკი ბრძოლა გაუმართეს მტერს სოფელ საკენის მცხოვრებლებმა (კოდორის ხეობა) დარჩების მთაზე. შვიდსაათიანი შეტაკების შემდეგ გმირულად დაეცნენ ჩვენი სოფლის ახალგაზრდები **ბადრი ჩოფლიანი და ნური ლვაჩლიანი,** ხოლო ცოცხლად დარჩენილმა მეომრებმა **მამუკა და ჯონი ცალანებმა, ბექსტონ გურჩიანმა და მურთაზ ვიბლიანმა** გაარღვიეს მტრის ალყა.

სოხუმის დაცემის შემდეგ კოდორის ხეობამ თავის ზურგზე გადაატარა 150 ათასამდე ლტოლვილი, ლუკმა გაუყო, ხელი შეაშველა.

ნოემბრიდან აფხაზ სეპარატისტთა დაქირავებულებმა კოდორის ხეობის ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვა დაიწყეს „გრადის" ტიპის დანადგარებიდან.

მტერი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ქართული სოფლების აღებას, წუთით არ ისვენებდა, მაგრამ მოსახლეობის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

მოწინააღმდეგემ ბრძოლით აიღო სოფელი ბაგადა. როგორც კამანში, აქაც, ჩვენმა არტილერიამ სრული უმოქმედობა გამოიჩინა. ჩვენს მებრძოლებს მძლავრი საარტილერიო ცეცხლის წინააღმდეგ ისევ თოფებით მოუხდათ ბრძოლა.

1993 წლის 23 ნოემბერს ბაგადის ახლოს გავცავუღობეთ გზა მოწინააღმდეგეს. მტერმა შენიშნა ჩვენი მებრძოლების ადგილსამყოფელი და დილის 5 საათიდან საღამოს 17 საათამდე გამანადგურებელ საარტილერიო ცეცხლს უშენდა მათ.

მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი, კრიტიკული მომენტი შეიქმნა, ფეხი არავის მოუცვლია.

მტერმა ირწმუნა, რომ ასეთი შეტევის შემდეგ არავითარ ცოცხალ ძალას არ შეეძლო გაძლება და თამამად წამოვიდა. სწორედ ამ დროს, თითქოს ქვები ცოცხალ მებრძოლებად იქცნენო, წამოიმართნენ ჩვენი ვაჟკაცები და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. ამ ოპერაციას თენგო კორძაია ხელმძღვანელობდა. იმ დღეს მოწინააღმდეგემ ცოცხალი ძალის დიდი დანაკლისი განიცადა. სამწუხაროდ, აქაც გვიმტყუნა ჩვენმა არტილერიამ.

ამ უმაგალითო გმირობის ყველა მონაწილე ღირსეულად უნდა დაჯილდოვდეს, მაგრამ მეომრები უარს აცხადებენ ჯილდოზე წარდგენაზე, ჯერჯერობით საქართველომ ომი წააგო, როცა გავიმარჯვებთ, ჯილდო მერე იყოსო.

1994 წლის 24 მარტს მძიმე ბრძოლების შემდეგ მტერმა დაიკავა სოფ. ლათა. აქაც არტილერიის წინააღმდეგ თოფებით მოგვიხდა ბრძოლა. კოდორის ხეობის (დალის ხეობა) საუკეთესო შვილები გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, საქართველოს მთლიანობის დასაცავად. აი, ისინიც, **გოგი და ჯემალ წერედიანები, ძმები ტარიელ და ავთანდილ ხტეფლიანები, ელდარ ივეჩიანი, ილიკო და ემზარ კვანჭიანები, ოთარ და კონსტანტინე კვიციანები, ძმები ელვარდ და ტელმან კვიციანები, ლევან გურჩიანი, გულად, თამაზ, ბადურ ჯაჭვლიანები, ძმები ენვერ და ჯეირან ჯაჭვლიანები, გოგი რეზესიძე, ნური ლვარჩლიანი, ბადრი ჩოფლიანი, თემურ ვიბლიანი, ამირან ავალიანი, ძმები შალიკო (ენვერ) და ვალიკო (ნუგზარ) ავალიანები, შუქრი მარგიანი, ნოდარ ქალდანი, სოსლან გახვიანი, ვახო გვიჩიანი, ამირან კალანდარიშვილი, ემზარ, ერმინე და გოდერძი გუჯეჯიანები, ტარიელ პაკელიანი, გონელი ხარზიანი, ბადრი პირველი, თენგო ფარჯვლიანი.**

უთანასწორო ბრძოლებს გადაურჩნენ, მაგრამ ინვალიდებად დარჩნენ: **ვაჟა გერლიანი, ჩიფხან ცალანი, გოგი გვიჩიანი, სლავიკ გურჩიანი, შურმან ცინდელიანი, სიხონა გახვიანი, ბენო ჯაჭვლიანი.**

ამდენ გვარს იმიტომ ჩამოვთვლი, რომ მკვდარსაც და ცოცხალსაც მიხედვა და პატრონობა სჭირდება.

სოფელ კამანის დაცვისათვის გმირულად დაღუპულ არა ერთ მეომარს პირადად ვიცნობდი:

ელგუჯა გვიჩიანთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ერთად მოგვიხდა მუშაობა საზოგადოება „ლემში". ელგუჯა მაღალზნეობრივი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანი იყო.

არასდროს დამავიწყდება ჩვენი ბოლო შეხვედრა. აფხაზეთში ომის ცეცხლი გიზგიზებდა [illegible] სკოლის შეკეთება-მეთქი. მერელა მიხვდა, არ აშინებდა ომი, იმ უმძიმეს წუთებშიც [illegible] ვალ თაობაზე ფიქრობდა, ხანდაზმული ასაკის მიუხედავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე [illegible] ძოდა. ელგუჯამ სამშვიდობოს გაიყვანა ორი მედ დაჭრილი, შოკში ჩავარდნილი მებრძოლი, ერთი ბავშვი, თვითონ კი უკან დაბრუნდა. ბრძოლის ველზე, თანასოფლელთაგან ცოცხალი ღარავის მიუსწრო. თავის გადარჩენაზე არ [illegible] რია. მარტოდმარტო ჩაება ბრძოლაში, რამდენიმე ბოევიკი გაანადგურა და თვითონაც [illegible] დაეცა.

უჩვეულო გმირობა გამოიჩინა მერი პაკელიანმა. მან ხელყუმბარით ააფეთქა ოთხი მომხდური და თვითონაც დაიღუპა.

ასე იბრძოლეს კამანისა და კოდორის ხეობის ადგილობრივმა მკვიდრებმა. უკვდავია მათი სახელი.

დალის ხეობის ქართულ სოფლებს დღეს [illegible] თავისი საკრებულო და გამგებელი — საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობა. პარალელურად ჩამოყალიბებულია უზენაესი ხალხო ორგანო — უხუცესთა საბჭოს სათათბირო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი ხეობის ტერიტორიაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კრიმინოგენული შემთხვევების აღკვეთას, შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადეთ ნარკომანიას. რისი გადაწყვეტაც თვითონ შეგვიძლია, გადავწყვეტთ, მაგრამ მტრის გარემოცვაში ჩარჩენილი 17 სოფლის [illegible] მარტო ადგილობრივი ძალებით გაგვიჭირდება.

ზოგჯერ თუ შემოფრინდება შვეულმფრენი, სად დაჯდება, ხან სად. შვეულმფრენი გარეყაროსთან დასაკავშირებელი ერთადერთი [illegible] ლებაა. მის დანახვაზე ისეთი ამბავია, რომ ყვიან, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. შვეულმფრენში 30 კაცამდე ეტევა, მგზავრთა რიცხვი კი ზოგჯერ 130-ს გადააჭარბებს ხოლმე. იქნებ საკითხი როგორმე გადაწყვიტონ: კვირაში [illegible] რეგულარული რეისი მაინც დანიშნონ, ვიცოდეთ როდის და სად დაფრინდება.

კიდევ უკეთესი იქნება, თუ ზუგდიდიდან ვირთო მანქანაც ივლის ჰუბერის უღელტეხილით გავლით. ეს რამდენადმე გადაწყვეტდა მგზავრთა მიმოსვლის პრობლემას და რაც მთავარია — და საქართველოსთან კავშირს, ხალხის დამშვიდებასა და გამხნევებას.

ხეობაში არ გვყავს ექიმი, ჰირს [illegible] პრობლემები სხვაც ბევრია.

დალის ხეობაში მცხოვრები ქართველები იბრძოლებენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ასეთი ხალხი ღირსია მხარდაჭერის!

ვაჟა ავალიანი,
კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე.

ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ

რაც კარგად მახსოვს...

ზოგიერთი ეპიზოდი ომის წინახანების საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის ისტორიიდან

...ლოდ იმას მოგითხრობთ, რაც კარგად ...ოვს, რაც ჩამებეჭდა მეხსიერებაში, თუმ... მცირე დრო გასულა მას შემდეგ. ...მინდა გადმოგცეთ ის ეპიზოდები, რო...მამბო მამაჩემმა, ვლადიმერ გიორგის ძე ...ოვმა, საბჭოთა კავშირის ელჩმა გერმანია...ში ...წლის დეკემბრიდან ომის დაწყებამდე, 1941 წლის 22 ივნისამდე. იგი, ამავე დროს, ...საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სა...კომისრის მოადგილის პოსტზე, სადაც და... 1939 წლის მაისში.

ეპიზოდი პირველი

...ის საპირველმაისო დღესასწაულზე მამა... ...ბერლინიდან მოსკოვს ჩამოვიდა. მაისის ...იგი გამოიძახეს თათბირზე სტალინთან. ...ესწრებოდნენ პოლიტბიუროს წევრები. ...ებოდა საბჭოთა კავშირისა და გერმანი... ...ურთიერთობაში მოვლენათა განვითარებას. დე... ...მა გამოთქვა თავისი შეხედულებანი, რო... ...მეტყველებდა იმას, რომ უახლოეს ხანში ...თავდასხმა გარდაუვალი იყო. სტალინი ...ვარაუდს არ უშვებდა. ხანმოკლე შესვენე... ...მამაჩემს გამოელაპარაკა ვოროშილოვი და, ...შორის, უთხრა: „თავს როგორ აძლევთ ნე... ...შეეკამათოთ ამხანაგ სტალინს! მან ჩვენ... ...იცის და ჩვენზე შორს იყურება“. მოგვი... ...კრემლში სეირნობისას, სხვებისგან გან... ...და სტალინი დეკანოზოვს უსაბუთებ... ...მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩვენს ...თავდასხმისათვის გერმანია ამჟამად მზად ...ო.

...ურებულია, რომ ხსენებული თათბირი ჩა... ...სწორედ მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ...შულენბურგს კონფიდენციალური საუბარი ...დეკანოზოვთან 1941 წლის 5 მაისს, გერმა...სელჩოში.

...ც ცნობილია, სტალინი ყველანაირად ლა... ...რომ გადადებულიყო ომი გერმანიასთან და ...ბანა ამ უკანასკნელისათვის, რომ საგანგებო ...ლობას ანიჭებდა საბჭოთა კავშირისა და ...ის ურთიერთობას. ამიტომაც, შემთხვევითი ...იყო, რომ 1941 წლის 1 მაისს, მავზოლეუ...ტრიბუნაზე სტალინის გვერდით იდგა საბჭოთა ...გერმანიაში დეკანოზოვი. ეს მომენტი აღბე... 1941 წლის 3 მაისის „პრავდაში“ მოთავ... ...ფოტოსურათზე.

ეპიზოდი მეორე

...ᲐᲜᲝᲖᲝᲕᲘ, ბერლინში ელჩად ყოფნისას, ...წეოდა არა მარტო დიპლომატიურ, არამედ ...ვერო საქმიანობასაც. 1938 წლის ნოემბრი... 1939 წლის მაისის დამდეგამდე იგი ხომ იყო ...თა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომი... ...ის საგარეო დაზვერვის სამმართველოს უფ... ...როდესაც დეკანოზოვი დანიშნეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, მას მიანდეს ურთიერთობა შინსახკომთან საგარეო დაზვერვის ხაზით. დეკანოზოვი გზავნიდა ცნობებს მოსკოვში ორი არხით: საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებში.

მამაჩემი მეუბნებოდა, რომ ელჩად ყოფნისას, იგი არაერთგზის გზავნიდა მოსკოვში ცნობებს გერმანიის მოსალოდნელ თავდასხმაზე და თარიღსაც (22 ივნისი) უთითებდა. რათა ბოლომდე დარწმუნებულიყო მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტეში, 41 წლის ივნისში თვითონ წავიდა (რასაკვირველია, ინკოგნიტოდ) საკუთარი პასუხისმგებლობითა და ცენტრის ნებადაურთველად, რომელმაც აუკრძალა ამგვარი ნაბიჯი, იმ პირთან შესახვედრად, ეჭვმიუტანელი ცნობები რომ ჰქონდა საბჭოთა კავშირზე 22 ივნისს გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ბუნებრივია, რომ დეკანოზოვმა დაუყოვნებლივ აცნობა ცენტრს მიღებული ინფორმაცია.

სამწუხაროდ, დაზვერვითი ხასიათის ცნობები დეკანოზოვისა, რამდენადაც ვიცი, საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ო. გორჩაკოვის გახმაურებულ დოკუმენტურ მოთხრობას „კვირამდე ანუ კასანდრას ტრაგედია“ (ჟურნალი „ჰორიზონტი“, 1988, № 6-7; გაზეთი „ნედელია“, 1988, № 42-44), სადაც ავტორი იმოწმებს, მისი სიტყვით, ლ. ბერიას მოხსენებით ბარათს ი. სტალინისადმი, დათარიღებულს 1941 წლის 21 ივნისით, რომლიდანაც ირკვევა შემდეგი: დეკანოზოვი არაერთხელ აცნობებდა მოსკოვს ჰიტლერის სამზადისის საბჭოთა კავშირზე [illegible] ვინაიდან სერიოზულ დაეჭვებას იწვევს დოკუმენტის სტილი და ზოგიერთი გამოთქმა, რომელთაც, ჩვეულებრივ, არ იყენებენ ხოლმე სამსახურებრივ დოკუმენტებში. მაგრამ არა მგონია, გორჩაკოვს დეკანოზოვისათვის მიეწერა არარსებული დამსახურებანი, თუკი გაითვალისწინებდა, რომ დეკანოზოვი „გაასამართლეს“ და დახვრიტეს ე. წ. „ბერიას საქმესთან“ დაკავშირებით 1953 წლის დეკემბერში, ხოლო მოთხრობა დაწერილია, როგორც წინათქმაში ვკითხულობთ, 1956 წელს („ნედელია“, 1988, № 42, გვ. 12).

რაც შეეხება დეკანოზოვის ცნობებს (მოხსენებებს) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი, გამოქვეყნებულ დოკუმენტთა მცირე ნაწილიდანაც კი (Вестник МИД СССР, 1990, № 8, გვ. 71-72; 76-77) სავსებით ნათელი ხდება, რომ ელჩი ობიექტურად აფასებდა სიტუაციას და მოჰყავდა მრავალრიცხოვანი ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ გერმანიის განზრახვას — უახლოეს ხანში გაეჩაღებინა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყოდი, რომ ერთობ ულაზათოდ (მეტი რომ არა ვთქვათ) გამოიყურება ზოგიერთი ავტორის, მათ შორის — ისტორიკოსთა (მაგალითად, ა. ნეკრიჩი, ვ. ანფილოვი) მსჯელობანი, რომლებიც თავს არ იწუხებენ სანდო ცნობების მოძიებით და ამტკიცებენ (ანდა ამტკიცებდნენ), რომ დეკანოზოვი ქვეყნის ხელმძღვანელობას ვითომდა აწვდიდა აშკარად არასწორ, დამამშვიდებელ ინფორმაციას.

მამაჩემი მტკიცე ხასიათისა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული კაცი იყო და იმ უკიდურესად რთულ პერიოდში მხოლოდ იმ მონაცემთა ანალიზს ეყრდნობოდა, რაც მოეპოვებოდა, და არ შეეძლო მოსკოვისათვის არ მიეწოდებინა ის ინფორმაცია, რომლის სიზუსტეში დარწმუნებული იყო.

მისი ხასიათის სიმტკიცეს ადასტურებს, მაგალითად, ამგვარი ფაქტები იმავე დროიდან.

მეტწილად მისი შეუდრეკელი პოზიციის წყალობით იყო, რომ გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა სამშობლოში გამგზავრების ნება მიეცა არა მარტო საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალისათვის (რაზედაც ყაბულდებოდნენ გერმანელები), არამედ, გერმანიაში მყოფი მთელი საბჭოთა კოლონიისათვის, რომელიც შეიცავდა როგორც საელჩოს, ასევე სავაჭრო წარმომადგენლობათა პერსონალს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ორგანიზაციათა მუშაკებს, გერმანიაში რომ იყვნენ გამწესებული.

მამაჩემის ძლიერი ნებისყოფა და გამბედაობა გამოიხატა იმ მკვახე სიტყვებითაც, პირში რომ მიახალა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბენტროპს, როდესაც ამ უკანასკნელმა 22 ივნისის წინალამით ოფიციალურად გამოაცხადა ომის დაწყება. „ეს არის კადნიერი, არაფრით პროვოცირებული აგრესია, — განაცხადა ელჩმა. — თქვენ დიახაც ინანებთ, რომ განახორციელეთ ყაჩაღური თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. დიახაც სასტიკად გაზღვევინებთ ამას!“ (ჟურნალი „ნოვოე ვრემია“, 1961, № 26, გვ. 10).

ეპიზოდი მესამე

ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ, ომის დასასრულს, ანდა მისი დამთავრების შემდეგ (ზუსტად აღარ მახსოვს) სტალინმა შინაურულ წრეში (ესწრებოდა მამაჩემიც) თქვა: „მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნურასოდეს დააყენებთ თქვენს თავს სხვის ადგილზე, თორემ შეიძლება სერიოზული შეცდომა დაუშვათ“. სტალინს არავითარი მაგალითი არ მოუყვანია და მეტიც არაფერი უთქვამს ამის თაობაზე. მამაჩემის აზრით, სტალინი გულისხმობდა თავის შეცდომას, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის დროის გამოანგარიშებისას რომ დაუშვა.

ᲠᲔᲯᲘᲜᲐᲚᲓ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲕᲘ.

ვლადიმერ დეკანოზოვი.

ᲐᲛ ᲢᲠᲘᲐᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ

ყველა მძევალი გაათავისუფლეს

ბუდიონოვსკის ტრაგედია და მის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია კვლავ რჩება მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებების უპირველეს თემად.

ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მოსკოვი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ჩეჩნეთისათვის სრული გამოყოფის უფლების მიცემა, რასაც მისი ახალი სეპარატისტული ხელმძღვანელობა მოითხოვდა, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის ჯაჭვური პროცესის დასაწყისი იქნებოდა, ხოლო ჩეჩნეთის ახალი ლიდერები სხვა გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდნენ. ამდენად, მოლაპარაკება ჯოხარ დუდაევის რეჟიმთან მოსკოვს უნაყოფოდ მიაჩნდა. ოფიციალურმა მოსკოვმა ჩეჩნეთის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის გზა აირჩია — რუსეთის შემადგენლობიდან ცალმხრივად გასულ (რაც უკანონოდ მიაჩნიათ) რესპუბლიკაში „კონსტიტუციური კანონიერების აღდგენის ოპერაციები დაიწყო“, რაც საომარ მოქმედებაში გადაიზარდა, აქედან გამომდინარე ყველა უმძიმესი შედეგით.

ბუდიონოვსკში, სადაც შამილ ბასაევის ბოევიკებმა მსხვერპლის ფასად, დაზუსტებული ცნობებით ათას ასზე მეტი მძევალი აიყვანეს, შემდგომი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად (მით უმეტეს ორი უნაყოფო შტურმის შემდეგ), რუსეთის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ, კერძოდ პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. პრემიერი უშუალოდ ტელეფონით დაუკავშირდა (სამჯერ ელაპარაკა) ბოევიკების მეთაურს შამილ ბასაევს. დათანხმდა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი მოქმედება და დაეწყოთ მოლაპარაკება.

შეთანხმების თანახმად, შამილ ბასაევის ბოევიკებმა მოხალისე-მძევლების (დაზუსტებული ცნობით 86) თანხლებით ორშაბათს დატოვეს ბუდიონოვსკი და შვიდი ავტობუსით ჩეჩნეთისაკენ გაემგზავრნენ. ჩეჩნეთის დასახლება დარგოში ჩასვლამდე სოფელ ზანდაკში მათ ყველა მძევალი გაათავისუფლეს, მათ შორის 16 ჟურნალისტი, 9 რუსეთის პარლამენტის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.

გროზნოში ორშაბათს დაიწყო და გრძელდება ჩეჩნეთის შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მოლაპარაკება. იხილავენ სამხედრო საკითხთა მთელ კომპლექსს, ჯარების დაშორიშორების და უკანონო ფორმირებების განიარაღების საკითხს. ჩეჩენთა მხარეს მოლაპარაკებაში შეემატა ჯოხარ დუდაევის შეიარაღებული ფორმირებების მთავარი შტაბის უფროსი ასლან მასხადოვი.

მოლაპარაკების პირველი დღის შედეგებთან დაკავშირებით (მოლაპარაკება მიმდინარეობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შუამავლობით) რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ მიხაილოვმა აღნიშნა მისი პოზიტიური ხასიათი. მან კერძოდ თქვა, რომ ამჟამად „ადამიანთა შეგნებაში გარდატეხა ხდება, რომ ეს ეხება დღევანდელობის ძირეულ საკითხებს“. მოლაპარაკებაზე მიღწეულია შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის მორატორიუმის მოქმედების 23 ივნისის ჩათვლით გაგრძელების შესახებ. დუდაეველთა დელეგაციის ხელმძღვანელმა უსმან იმაევმა საველე მეთაურებს მოუწოდა, რომ შეწყვიტონ საომარი მოქმედება. ფედერალური ჯარები გასული კვირიდან არ აწარმოებენ საომარ მოქმედებას.

ბუდიონოვსკის ტრაგიკულმა ამბებმა უკიდურესად გაამწვავა პოლიტიკური ვითარება მოსკოვში. რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატა — სახელმწიფო სათათბირო 21 ივნისს აპირებს განიხილოს რუსეთის მთავრობისადმი ნდობის საკითხი, სათათბიროში კომუნისტური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ილიუხინმა განაცხადა, რომ აგროვებენ ხელმოწერებს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის იმპიჩმენტის (გადაყენების) საკითხის განსახილველად. იმპიჩმენტისათვის საჭიროა 226 ხმა. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს შეუძლია არ დაეთანხმოს სათათბიროს გადაწყვეტილებას მთავრობის გადადგომის შესახებ ან საერთოდ დაითხოვოს პარლამენტი.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲯᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ.

ჰალიფაქსი — 7+1

რა მნიშვნელობა ჰქონდა ჰალიფაქსის შეხვედრის შედეგებს რუსეთისათვის? ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი აზრი ჯერ არ გამოთქმულა. თუმცა რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკურად დაინტერესებული წრეები და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან დაახლოებული პირები ცდილობენ საქმის ოპტიმისტურად წარმოჩენას. თავად პრესა, როგორც დასავლეთის, ასევე რუსეთის უფრო თავშეკავებულია, ზოგჯერ გულახდილად სკეპტიკურიც კი. აღნიშნავენ, რომ რუსეთის ავტორიტეტი კვლავ მის სამომავლო პერსპექტივებს უფრო ეყრდნობა, ვიდრე რაიმე ხელშესახებ პროგრესს.

უდავოა, რომ ვალების გადახდის ვადების 25 წლამდე გაგრძელება და მათი რესტრუქტურირება გარკვეულ ეკონომიკურ შეღავათს მოუტანს რუსეთს და როგორც რუსეთის პრესა აღნიშნავს, „მოხსნის პარიზის და ლონდონის კლუბებს შორის რეგულარული კურსირების აუცილებლობას, მით უმეტეს, რომ ფულის გადახდის საშუალება რუსეთს მაინც არ გააჩნია“.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐ

ჯონ მეიჯორი: „...მისმინე ბორის, თქვენი მოშლილი ეკონომიკის გამო, შეხვედრაში თქვენი მონაწილეობა კვლავაც სიმბოლური რჩება“ (ელცინის სამკერდე ნიშანზე წარწერა: „ჩრუ-ფი 7. 8? 9?.?“).

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 22 ივნისიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	938, 340. 88	კუპონი
ავსტრიული შილინგი	131, 193. 82	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2, 082, 599. 45	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	449, 515. 02	კუპონი
გერმანული მარკა	922, 573. 64	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	824, 506. 98	კუპონი
დანიური კრონი	236, 794. 75	კუპონი
100 იტალიური ლირა	79, 122. 30	კუპონი
კანადური დოლარი	942, 711. 81	კუპონი
ნორვეგიული კრონი	207, 683. 66	კუპონი
აშშ დოლარი	1, 300, 000. 00	კუპონი
ფინური მარკა	301, 588. 45	კუპონი
ფრანგული ფრანკი	263, 025. 81	კუპონი
შვედური კრონი	179, 130. 98	კუპონი
შვეიცარული ფრანკი	1, 115, 018. 20	კუპონი
10 იაპონური იენი	153, 392. 30	კუპონი
ეკიუ	1, 706, 509. 94	კუპონი
10 ესპანური პესეტა	106, 582. 95	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	57, 171. 39	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2, 117, 049. 72	კუპონი
ისლანდიური კრონი	20, 512. 27	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4, 351, 465. 30	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	8, 015. 66	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	87, 748. 62	კუპონი
სინგაპურული დოლარი	929, 367. 96	კუპონი
10 თურქული ლირა	299. 83	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	382, 355. 69	კუპონი
რუსული რუბლი	276. 00	კუპონი
ლიტვური ლიტი	326, 094. 00	კუპონი
ლატვიური ლატი	2, 518, 099. 80	კუპონი
ესტონური კრონი	115, 710. 24	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	891. 48	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	19, 844. 40	კუპონი
მოლდავეთის ლეი	284, 798. 88	კუპონი
ყირგიზეთის სომი	119, 011. 20	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	1, 214. 40	კუპონი
უზბეკეთის სუმი	47, 259. 48	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	295. 32	კუპონი
სომხური დრამი	3, 198. 84	კუპონი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

„ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲒᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲜᲔᲑᲗ ᲐᲛᲐᲡ!“

მოსკოვი, წითელი მოედანი. 1941 წლის 1 მაისი.

...მემუარული ლიტერატურის ღირებულებაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს...

...1945 წელს, უინსტონ ჩერჩილმა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკარგვის შემდგომ, ხელი მოჰკიდა მემუარებს ...40-იანი წლების დამლევს დაასრულა თავისი ექვსტომიანი თხზულება „მეორე მსოფლიო ომი“, რომელმაც 1958 წელს ნობელის ...ი დაიმსახურა ხიტყვაკაზმული მწერლობის დარგში.

...სტალინს რომ მოეცალა სახელმწიფო საქმეთაგან, ანდა დროზე ...მდგარიყო, ვინ იცის, ისიც შესდგომოდა მემუარების წერას და ...ლაც ფასდაუდებელი იქნებოდა მისი ნაშრომი. ნობელის პრე... ...ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სტალინურ პრემიას, უთუოდ, მი...ებდნენ. სტალინის მემუარები, ეტყობა, იმდენად ენატრებათ, ...ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ ნეკრასოვი (ავტორი რომა... „სტალინგრადის სანგრებში“) ემიგრაციაში დაწერილ ერთ ...მოთხრობაში სტალინთან კრემლში ფანტასმაგორიული შეხვედ...რის აღწერისას გვამცნობს, რომ სტალინი საწერი მაგიდის უჯრაში, ...სხვებისგან საიდუმლოდ, ინახავდა თავის დღიურს და ნეკრასოვს ...



სიმწიფის გამოცდა

დასრულდა კიდევ ერთი სასწავლო წელი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ახლა გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდები მიმდინარეობს. საუცხოოდ ჩანს, თუ ვინ როგორ ისწავლა და ისიც, თუ ვინ როგორ გაისარჯა.

ფოტოზე აღბეჭდილია გამოსაშვებ წერითი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში თბილისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლაში.

გამოცდები გრძელდება.

• • •

ნოდარ კილაძის ფოტო.

გამოძახილი

„ანდეგრაუნდი..." მეორე „მონანიება"

1995 წლის 18-28 მაისს ჩატარდა სამყაროს ყველაზე პრესტიჟული, — კანის 48-ე საერთაშორისო მსოფლიო კინოფესტივალი, სადაც ბოსნიელი კინორეჟისორის ემირ კუსტურიცას მხატვრული ფილმი „ანდეგრაუნდი", რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც „იატაკქვეშეთი", ანდა „სარდაფი" — ჟიურის გადაწყვეტილებით, მსოფლიო კინოფესტივალის „უდავო მწვერვალად" იქნა აღიარებული და მთავარი პრიზით, —„პალმის ოქროს რტოთი" დაჯილდოვდა.

ძველი ევროპის კონტინენტის — ბალკანეთის ძველ კედლებს, მის ბულვარებს ძმათაშორის უშელავათო ომი აზანზარებს...

ემირ კუსტურიცას ეპიკური ხასიათის, სიუჟეტის რთული განვითარების სამსაათიანი მხატვრული ფილმი „ანდეგრაუნდი" მთავრდება ზღაპრული ფრაზით: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა"...

კაცობრიობამ კარგად იცის, გაცნობიერებული აქვს და ყურადღებით შესცქერის, თუ რა ხდება დღევანდელ (ყოფილ) იუგოსლავიაში, კერძოდ ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში, მხატვრული ფილმის ზღაპრული დასასრული იკითხება და აღიქმება, როგორც ერთგვარი სიგიჟე, უგუნურობა, რომელიც ამჟამად „ყოფილ" იუგოსლავიაში ხდება. ფილმში გადახლართულია დრო და სივრცე, ეპოქური მოვლენები, ადამიანები, მათი საქმეები, და რაც მთავარია ის, რომ იქ მიმდინარეობს სისხლისმღვრელი ომი, სადაც ძმა ძმას არ ინდობს, ებრძვის.

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა", იყო და არა იყო რა... იყვნენ ძმები და... უცებ, არავინ და არარაფერი — აღარც ქვეყანა და აღარც ძმები აღარ არიან, და რომ არავისათვის აზრი აღარ აქვს მომავალ რეალურ ცხოვრებაზე სჯა-ბაასს.

იყო და არა იყო რა, ამ ქვეყანაზე უკეთესი რა იქნებოდა:

— იყო სიყვარული...

— იყო ძმობა...

— იყო ადამიანი...

და აღარაფერი აღარ დარჩა...

ასეთია კანის 48-ე საერთაშორისო მსოფლიო კინოფესტივალის ოქროს პრიზის მფლობელი მხატვრული ფილმის „ანდეგრაუნდის" მწარე, გამაფრთხილებელი დასასრული.

გვინდა ვირწმუნოთ:

ეს არ არის საკაცობრიო ცხოვრების ისტორიის დასასრული...

თავიდან ავიცილოთ მეორე „ანდეგრაუნდი", —

საქართველოს „ანდეგრაუნდი"...

ქართული მხატვრული კინოხელოვნება, „ქართული ფილმი" ვალშია ქვეყნისა და ერის წინაშე...

მეორე „მონანიება" გვინდა!

ჩვენი ვალია

ქართული მწერლობა... ქართველი ინტელიგენცია...

ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელს მძიმე, ხანგრძლივი ლაშქრობისას ძვირფას ყუთში შეფუთული „ილიადა" დაჰქონდა, ბრძოლებს შორის ეზიარებოდა.

დავით აღმაშენებელს მძიმე, ხანგრძლივ ბრძოლებში, ჯორებზე აკიდებული მთელი ბიბლიოთეკა დაჰქონდა და ბრძოლებისაგან თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა.

ბევრის მანიშნებელი მაგალითებია,

წიგნთან ზიარება, მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა, ყველა დროში, პირობებში კაცის ვალია.

ქართველთა ბრწყინვალება

და მაინც...

დრონი მეფობენ თუ მეფენი?!

ხშირად, ალბათ, მაინც მეფენი.

ჭეშმარიტი მეფენი, წინამძღოლნი, ქვეყნისა და ერის ლიდერები.

ასე იყო უწინ, დღესაც ასეა, მომავალშიც ასე იქნება.

საქართველოს, ქართველ ხალხს დიდი წინამძღოლები, უკვდავი მეფენი ჰყავდათ, მათ დიდი ბრძოლები აქვთ გადატანილი: დიდგორის, შამქორის, ბასიანის ბრძოლები. ვახტანგ გორგასალს, დავით კუროპალატს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლეს მარადის, მარტყოფის, ასპინძის ომები აქვთ მოგებული.

დიდგორის ომში მართლმადიდებელ-ქრისტიანული საქართველო მუსულმანური სამყაროს 750 ათასიან არმიას დაუპირისპირდა...

გაიგონ, შეიგნონ, ვისაც ეგების...

ასეთი იყო ქართველ მეფეთა ბრწყინვალება.

ასეთი იყო ქართველი ერის ბრწყინვალება, უნდა იყოს ქართველ წინამძღოლთა ბრწყინვალება.

ასეთი უნდა იყოს ქართველი ხალხის ბრწყინვალება...

უზენაესი თანაფარდობა

მეათე საუკუნის იაპონელი (ძველად იაპონიას „იამატოს" ეტყოდნენ) პოეტი კი-ნო ცურაიუკი წუთისოფლის წარმავლობაზე, ადამიანის მრავალსახეობაზე, მრავალფეროვნებაზე, მათ შორის ურთიერთშეხამებაზე, სამყაროს უზენაეს თანაფარდობაზე წერდა:

„... მაშინაც, როცა ვარდებს შორის ბულბული გალობს, ანდა ჭაობის მკვიდრის, ბაყაყის ყიყინი გაისმის, ფიქრობ, ამ ცისქვეშეთში მცხოვრებთაგან, ვინღა არ გალობს თავის სიმღერას?!"

—ამაშია ცხოვრების სიბრძნე, მისი საზრისი, საამისოდ კეთილგანწყობა, სხვისი ატანა, გატანა არის საჭირო, რაც სიძულვილზე ძლიერია და რასაც უზენაესი თანაფარდობა ჰქვია.

უზენაესი თანაფარდობა...

ურომლისოდაც კაცობრიობა არ იარსებებდა, ვერ იარსებებდა.

ბუნება ბრძენია, მასში უზენაესი თანაფარდობა სუფევს.

ისღა დაგვრჩენია, ამ სიბრძნის მიმდევრები, დამფასებლები ვიყვნეთ.

ავთანდილ გველესიანი.

კაცურად იცხოვრა ილვანა

ნიკოლოზ ლაჟუეპიანის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

87 წლისა წავიდა ჩვენგან ნიკოლოზ ლაჟუეპიანი. წავიდა და გაუხუნარი მოგონება დაუტოვა ყველას, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია მასთან, თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთან, აგრარიკოს-ეკონომისტთან და სტატისტიკოსთან, ღირსეულ მამულიშვილთან.

ნიკოლოზ ლაჟუეპიანი ქართველი ინტელიგენციის იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც რთულ და საინტერესო ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. დაიბადა 1895 წელს ქუთაისში, ღარიბი რკინიგზელის ოჯახში. 1914 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა, სადაც 1915-1919 წლებში სწავლობდა კომერციულ ინსტიტუტში. მოსკოვში ყოფნის დროს ნიკოლოზ ლაჟუეპიანი აქტიურად იყო ჩაბმული ქართველთა სათვისტომოს საქმიანობაში, ოცნებობდა დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოზე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1920-1931 წლებში მუშაობდა ცეკავშირის, შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიის „სოფლის კავშირის" სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, იყო საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ამავე დროს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა ამიერკავკასიის „სოფლის კავშირის" უმაღლეს კოოპერაციულ სასწავლებელში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აქვეყნებდა სამეცნიერო და მეთოდიკური ხასიათის შრომებს კოოპერაციის სისტემაში აღრიცხვისა და ანგარიშების საკითხებზე.

1931 წლიდან ნიკოლოზ ლაჟუეპიანმა მუშაობა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ახლად ჩამოყალიბებულ კათედრაზე დოცენტად და მას შემდეგ მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამ ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული.

პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას იგი შესანიშნავად უთავსებდა ადმინისტრაციულ საქმიანობასაც. წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დაუსწრებელი სწავლებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში. ათეული წლების მანძილზე იყო აგრონომიული და ეკონომიკური ფაკულტეტების დეკანი.

ნიკოლოზ ლაჟუეპიანი პროფესორ ივანე ჯავახთან ერთად ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგროეკონომიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებისა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, პირველად საბჭოთა კავშირში, ამ ფაკულტეტზე ცალკე გამოიყო საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობა. მისივე ინიციატივით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სტატისტიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის კათედრა, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა ოცი წლის მანძილზე. დამსახურებული მეცნიერის უშუალო დამსახურებაა სტატისტიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის კათედრის ბაზაზე 1970 წელს ეკონომიკური კიბერნეტიკის დამოუკიდებელი კათედრის ჩამოყალიბება, მისი ინიციატივა უდევს საფუძვლად, რომ 1986 წლიდან დამოუკიდებლად მოქმედებს ორი მაპროფილებელი კათედრა — „სტატისტიკის, ფინანსების და ეკონომიკური ანალიზის" და „ბუღალტრული აღრიცხვის", [...]ედრები თითქმის მთლიან[...] კომპლექტებულია მის მიერ [...]დილი და მომზადებული მეცნ[...] პედაგოგთა კადრებით და [...] რესპუბლიკის მასშტაბით [...] პოტენციალის მქონე კათედ[...]

აგრარული ეკონომიკის [...]ემბს ნ. ლაჟუეპიანმა [...] მრავალი მონოგრაფია. სახ[...] სამეურნეო სტატისტიკისა [...] რიცხვის დარგში შექმნა [...] იმე ორიგინალური სახელ[...] ელო, რომლებიც დღესაც [...] საჩინო როლს ასრულებენ [...] იალისტთა მომზადების საქმეში.

პროფესორ ნიკოლოზ ლ[...] ანის ხელმძღვანელობით ს[...] ელოში და სხვა რესპუბლ[...] მომზადდა ათეულობით მეცნ[...] ბათა კანდიდატი და დოქტ[...] იგი აქტიურად მონაწილეობ[...] რესპუბლიკის სამეცნიერო [...] საზოგადოებრივ საქმიანობ[...] ათეული წლების განმავლობ[...] იყო სამეცნიერო ხარისხების [...] ნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს [...] წევრი საქართველოს სახ[...] სამეურნეო ინსტიტუტში, [...] სის სახელმწიფო უნივერს[...] და საქართველოს მეცნიე[...] აკადემიის ეკონომიკის ინს[...] ტში, ახევე რამდენიმე კ[...] დაწესებულების სამეცნიერ[...] ჭოს წევრი; რესპუბლიკის [...] მწიფო საგეგმო კომიტეტის [...] ტისტიკის სახელმწიფო კომ[...] და სოფლის მეურნეობის სამ[...] როს სამეცნიერო-საექს[...] საბჭოების წევრი.

განსაკუთრებით დიდია [...] წვლილი საქართველოს სახ[...] სამეურნეო წარმოების გან[...] ის, სპეციალიზაციისა და [...] მეურნეობის გაძღოლის [...] ების შექმნასა და განვითარ[...] პროფესორ ნ. ლაჟუეპიანის [...] ქტორო შრომა „სასოფლო-[...] რნეო წარმოების სპეციალ[...] და განლაგება აღმოსავლე[...] რთველოში" წარმოადგენს [...] ლურ მონოგრაფიას, რ[...] დღესაც სამაგიდო წიგნია [...] რგის მკვლევართათვის.

ნ. ლაჟუეპიანი ერთადერთი [...] ველი მეცნიერ-ეკონომისტი[...] მელიც ჯერ კიდევ ორმოც[...] წლებში მეცნიერულად ას[...] და, რომ საქართველოს შე[...] საკუთარი მარცვლეულით [...] ყოფილიყო პურზე მოთხო[...] ბა.

იშვიათია ჩვენში აგრ[...] საზარმო, ან ფერმა, სადაც [...] ჟუეპიანის აღზრდილები არ [...] ობდნენ. ვისაც მის ხელში [...] ლია, ან ერთხელ მაინც შ[...] რია, უთუოდ უგრძვნია მისი [...] გულისხმიერება. ის ყველა [...] დენტს და ასპირანტს მზრუნ[...] ბდა, ბევრს მატერიალურადაც [...] არებოდა. ნ. ლაჟუეპიანი ს[...] ნტობიდანვე არჩევდა მომავ[...] მეცნიერ-პედაგოგიურ კ[...] იკრებდა თავის გარშემო, ბ[...] ვანელობდა მათი ნიჭისა და [...] ძლებლობების გაშლა-გაღრმა[...]

ეკონომიკის მეცნიერებათა [...] ქტორი ნიკოლოზ ლაჟუეპიან[...] რთო დიაპაზონის მეცნიერ[...] ლდათ, მრავალი სახის [...] გვის ენთუზიასტი და პრაქ[...] მონაწილე, უმაღლეს ს[...] სწავლებისა და მეცნიერები[...] ლსაჩინო ორგანიზატორი, რ[...] საც მიენიჭა საქართველოს [...] ბლიკის მეცნიერების დამს[...] ბული მოღვაწის წოდება, [...] ები, მედლები, საპატიო სიგ[...]

იგი გახლდათ ღირსეულ[...] ული ოჯახის პატრონი, საუკ[...] მამა და ბაბუა. მან საქართ[...] დაუტოვა სახახელო შვილი [...] თანდილ ლაჟუეპიანი, მსოფ[...] აღიარებული ნევროპათოლ[...]

ბატონი ნიკოლოზი [...] უმცირესს მოითხოვდა, თვით [...] ნიადაგ მზად. იყო [...] მხსვერპლის განსახიერება. [...] ცნიერული სინდისიერება, პ[...] პულობა, სამართლიანობა [...] მთხოვნელობა, პასუხისმგ[...] ბის მაღალი შეგნება და პრ[...] ელობა სამაგალითოა [...] მეცნიერთა და აღმზრდელ[...]

ნაპოლეონ ქარქა[...], საქართველოს აგრარ[...] ივერსიტეტის რექტორ[...] დემიკოსი.

რევაზ ასათ[...], ეკონომიკის ფაკულ[...] დეკანი, პროფესორი.

ვალერი ბ[...], სტატისტიკის, ფინანს[...] და ეკონომიკური ანა[...] კათედრის გამგე, პროფ[...]

ინფორმაცია

სიცოცხლეს აჯობა სიკვდილს

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს პრესცენტრში აცნობეს, 20 ივნისს, 00 საათსა და 39 წუთზე, თბილისში, მონტინის ქუჩა, 10-ში მეხუთე და მეექვსე სართულზე ... სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც 20 წლის კალიაშვილი იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გავიდნენ ... დიდუბისა და საბურთალოს რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო რაზმები.

სტიქიასთან ბრძოლაში სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს.

პოლიციელიც ამას აქვია

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ცნობით, 1995 წლის 8 ივნისს, ღამის სამ საათზე, საბურთალოს პოლიციის რაიონული განყოფილების ... პოლიციელები დავით ლვინიაშვილი, გოდერძი მახარაშვილი, პაატა ბოლქვაძე და კახაბერ ზედგინიძე სამსახურეობრივ ... დატყვებინა ... წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ თბილისის რკინიგზის საკვანძო პარკში გაჩერებულ მგზავრთა ... სახლში ... და გაიტაცეს 54 ტომარა ფქვილი.

შემთხვევის ადგილზე დააკავეს დავით ლვინიაშვილი, ბოლქვაძე. მახარაშვილი და ზედგინიძე მიიმალნენ და იძებნებიან.

მკვლელობა ანგარიშის მიზნით

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ცნობით, 1995 წლის 7 ივნისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენის ორი მამაკაცის გვამი, ძალადობის ნიშნებით. ისინი აღმოჩნდნენ ვანის რაიონის მკვიდრები ლევან ვაშაყმაძე და შალვა ხონელიძე.

უკვე დააკავეს სოფელ სუფსის მცხოვრები ზვიად ზარ წულეისკირი. მათ აღიარეს, რომ მკვლელობა ჩაიდინეს ანგარიშის მიზნით.

ხანძარმა ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოში აცნობეს, რომ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა 85-ში, მოქალაქე რუსუდან აფრასიძის ბინაში გაჩნდა ხანძარი. ბინა მთლიანად დაიწვა.

სამწუხაროდ, არის მსხვერპლი — ცეცხლმა 7 წლის ბიჭუნას სიცოცხლე იმსხვერპლა.

ხანძარი ტელევიზორის ააფეთქებამ გამოიწვია.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

ბოლო წლებში გაიზარდა ჩვენი საზოგადოების დაინტერესება ისტორიის საკითხებით. დღეს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიონალ ისტორიკოსთა მომზადებას სათანადო ყურადღება ექცევა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტში (რექტორი — გია პერტენავა), ამ დღეებში გაიმართა საქართველოს ისტორიის შემსწავლელ სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია.

მოხსენებები მიეძღვნა ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა: გეორგიევსკის ტრაქტატი, 1832 წლის შეთქმულება, ბრესტის ზავი და საქართველო, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ზურაბ ავალიშვილი და საქართველო-გერმანიის ურთიერთობა და სხვა.

კონფერენციის შედეგები შეაჯამა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლევან თოიძემ.

ბექა სეზისქვერაძე,
ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

საქართველო ტელეჟურნალისტის თვალით

სრულიად რუსეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის რეგიონულმა ბიურომ, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოაწყო ჟურნალისტ კოკა ყანდიაშვილის ფილმების რეტროსპექტული ჩვენება.

ვინაიდან საქართველოს მოსახლეობას არა აქვს საშუალება სრულად იხილოს რუსეთის ტელერადიოკომპანიის „რტრ"-ის გადაცემები, 16 ივნისს, კლუბ „ყაზბეგში" წარმოადგინეს კოკა ყანდიაშვილის რამდენიმე სატელევიზიო, დოკუმენტურ მასალებზე აგებული პოლიტიკური ფილმი — „აჭარა", „მილიონერთა საქართველო", „ერთი ქართველის სამი ცხოვრება" და „ბედისწერა".

ფილმებში გაანალიზებულია საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობა და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

ჩვენებას ესწრებოდნენ ჟურნალისტები, კინოდოკუმენტალისტები, კინომცოდნეები და სხვ. შეხვედრის დასასრულს, დიდი მოწონებით აღინიშნა კოკა ყანდიაშვილის, როგორც შემოქმედი ტელეჟურნალისტის მუშაობა.

პოეტი აკაკი გეწაძე — ტერენტი გრანელის სახელობის პრემიის ლაურეატი

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის ლიტერატურული პრემიების კომისიამ (თავმჯდომარე — პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, თავმჯდომარის მოადგილე — პროფესორი დავით გოგოჭური) ტერენტი გრანელის სახელობის პრემია მიანიჭა პოეტ აკაკი გეწაძეს ლირიკული ციკლისათვის „ტერენტი გრანელის ლოცვების კრიალოსანი".

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო გულითადად ულოცავს ახალ ლაურეატს ამ საპატიო ჯილდოს და უსურვებს დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს, ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

თვითმოქმედების დათვალიერება აღდგენილ კულტურის სახლში

ახლახან ონში ჩატარდა მხატვრული თვითმოქმედების რაიონული დათვალიერება, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიონის კულტურის განყოფილება (გამგე გ. ბურდილაძე).

დათვალიერებამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. მასში მონაწილეობდნენ სასოფლო კლუბების, სარაიონო კულტურის სახლის კოლექტივები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერან მომღერალთა ჯგუფი, ომისა და შრომის ვეტერანის, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მრავალგზის ლაურეატის ნესტორ დუშუაშვილის ხელმძღვანელობით.

ჟიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა ონის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (სამხატვრო ხელმძღვანელი ი. ნოდარიშვილი), სოფლის კლუბებს შორის პირველი ადგილი წილად ხვდა გლოლის სასოფლო კლუბის ფოლკლორულ ჯგუფს. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ქვედისა და პიპილეთის კლუბების კოლექტივებმა.

რაიონული გამგეობისა და ჟიურის გადაწყვეტილებით საპრიზო ადგილზე გასული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით და საპატიო სიგელებით.

ონელთა სასიხარულოდ, აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა მიწისძვრის შედეგად სერიოზულად დაზიანებულ და ახლახან აღდგენილ სარაიონო კულტურის სახლში.

გამოცდა მოფარიკავეთათვის

ამერიკის ფარიკაობის ასოციაციის მიწვევით თბილისელმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა მორის სახვაძემ ამერიკის ქალაქ ატლანტაში გამართა სემინარი მსაჯებისათვის, რომლებიც იქ ჩავიდნენ ევროპისა და ამერიკის გუნდების რაპირისტ ქალთა ასპარეზობაზე. ამავე დროს, მან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან ჩაბა პალანგისთან ერთად ჩაიბარა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდების მოსაპოვებლად გამართული გამოცდები. ექვსი ამერიკელი სპორტსმენიდან ოთხს მიენიჭა ეს საპატიო წოდება.

ეს და მთელი რიგი სხვა ღონისძიებები, განაცხადა მორის სახვაძემ, ხორციელდება 26-ე ოლიმპიური ასპარეზობის წინ, რომელიც გაიმართება ატლანტაში. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ქართველი მოფარიკავეები ამ დიდ ფორუმში, რადგან, როგორც წესი, უსპონსორობის გამო ისინი ვერ ჩადიან სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ასპარეზობებზე მონაწილეობისათვის, თუმცა, ზოგჯერ, საკუთარი ხარჯით ჩვენი სპორტსმენები მაინც ახერხებენ ტურნირებზე გამგზავრებას. აი ახლაც ცამეტი ქართველი მოფარიკავე და მოჭიდავეთა ჯგუფი გაემგზავრა ისრაელში, სადაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ „ჰაპოელ-95" ტრადიციულ ასპარეზობაში. იქ ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის 25 სახეობის წარმომადგენლები, მათ შორის რაპირისტები, დაშნითა და ხმლით მოფარიკავეები.

ჩოუსი

„ბრინჯაოს ბიჭები"

კიდევ ერთი მიღწევით გაგვახარა საქართველოს მეხტენდურეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა თამაზ იმნაიშვილის, გია შენგელიასა და დავით ქვათაძის შემადგენლობით. ჩვენმა „ტრიომ" მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მრგვალ სტენდზე მსროლელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც კვიპროსის დედაქალაქი ნიქოზია მასპინძლობდა. იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიც ქართველ ჩუბინებს ვარჯიში უწევთ, ეს შედეგი მართლაც აღსანიშნავია.

უმაღლესი ჯილდო რუმინელებმა მოიპოვეს.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს

მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელ ქალთა შორის გახდა ნორვეგიის გუნდი, რომელმაც სტოკჰოლმის „რასუნდას" სტადიონზე გადამწყვეტი მატჩი მოუგო გერმანიის ნაკრებს — 2:0. „ბრინჯაო" ა. წ. უკვე ექს-ჩემპიონებს — ამერიკელ ფეხბურთელებს გადაეცათ.

საპატიო პრიზის მფლობელები

თბილისში დასრულდა საქართველოს თასის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. საპატიო პრიზს დაეუფლნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტსმენები. საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ სამტრედიის „მიმის" და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდის „მამულის" ხელბურთელები.

გაიმარჯვა უნივერსიტეტის გუნდმა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდური გამარჯვებით დასრულდა რესპუბლიკის „უნივერსიადა-95".

თსუ-ს სპორტსმენებმა მოიგეს პროგრამის დასკვნითი სახეობაც — ვაჟ კალათბურთელთა ტურნირის ფინალში მათ ანგარიშით 95:80 სძლიეს კომერციისა და ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებს. მესამე საპრიზო ადგილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიამ დაიკავა.

კოეფიციენტთა ცხრილით

მძაფრი ფინიშით აღინიშნა ვაჟ მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა).

საბოლოოდ გია ბაღათურიამ კოეფიციენტთა დამატებითი მაჩვენებლებით გაუსწრო ალექსანდრე დებიუაძეს და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე პრიზიორმა ზურაბ იგრიაშვილმა ასევე კოეფიციენტთა ცხრილით ჩამოიტოვა ზაზა ხოფერია და კახა შალამბერიძე.

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად გაიმართა და მასში 64 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

მოახლოვდა ფინიში

მორაგბეთა მსოფლიო თასის მესამე გათამაშებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მასპინძლობს.

ნახევარფინალში მასპინძლებმა ფრანგებს სძლიეს 19:15, ახალი ზელანდიის ნაკრებმა კი „ხუთი ერის" წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული — ინგლისის გუნდი დაამარცხა 45:29.

უკრაინელთა ტრიუმფი

ქალ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ უკრაინა და იტალია.

ნახევარფინალში უკრაინელებმა რუსებს მოუგეს 69:64, „სკუადრა აძურამ" კი სლოვაკეთს დააყრევინა ფარ-ხმალი.

ბრინჯაოს მედლები რუსებმა მოიპოვეს სლოვაკების დამარცხებით — 69:50.

ფინალი და „ოქრო" უკრაინელებმა მოიგეს.

ერთი ქულის ფასი

დრამატულად დასრულდა გერმანიის ფეხბურთელთა ჩემპიონატი. დორტმუნდის „ბორუსიამ" ერთი ქულით გაუსწრო ბრემენის „ვერდერს" და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

გთავაზობთ ბუნდესლიგის გადამწყვეტი ტურის შედეგებს: „ბორუსია" — „ჰამბურგი" 2:0, „ბაიერნი" — „ვერდერი" 3:1.

„თეთრი ქორის" წვლილიც არის!..

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 21 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა სპარტაკ ქობულიას სტატია „თბილისის მეტროპოლიტენი — გინესის რეკორდების წიგნში", რომელშიც ვკითხულობთ: „...საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და თბილისის მეტროპოლიტენის სპეციალისტებმა, ამ გაჭირვების ჟამს, დაამუშავეს სტაბილური სიხშირისა და ძაბვის უნივერსალური კვების წყარო, რითაც ელექტროენერგიის არასტანდარტული სიხშირის პირობებში, პრაქტიკულად გადაწყდა მეტროპოლიტენის უნიკალურ ავტომატურ მოწყობილობათა მუშაობის პრობლემა. ახლა თბილისის მეტროში ძაბვის სიხშირე ხშირად არის 48, 44, 45 ჰერცი, მაგრამ მეტრო მაინც მუშაობს. ეს იმ მეცნიერების დამსახურებაა, რომელთაც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი მერაბ გოცაძე ხელმძღვანელობდა. როგორც იტყვიან, პატივი და დიდება მათ"...

სამწუხაროდ, სტატიაში არ არის ნახსენები ფირმა „თეთრი ქორი", რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში. გვსურს მკითხველს ვაუწყოთ, რომ თბილისის მეტროპოლიტენის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსმა 1992 წლის სექტემბერში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თეთრ ქორს" წინადადება მისცა, ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ერთად, შეემუშავებინა და დაემზადებინა სიხშირისა და ძაბვის სტაბილიზატორები ავტომატური წრედების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად. ფირმა „თეთრი ქორის" თანამშრომლებმა, სიტყვიერი დავალების საფუძველზე, ხელშეკრულების დაუდებლად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, 5 თვეში დაამუშავეს სიხშირისა და ძაბვის სტაბილიზატორის ელექტრული პრინციპული სქემა და საცდელი ნიმუშიც დაამზადეს. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. 1993 წლის 1 აპრილს ხელშეკრულება დაიდო მეტროპოლიტენსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მამულს" შორის. ამ უკანასკნელმა კი იმავე დღეს ხელშეკრულება შპს „თეთრ ქორთან" გააფორმა.

ფირმების — „მამულისა" და „თეთრი ქორის" თანამშრომლებმა, ერთობლივად, წარმოდგენილი საცდელი ნიმუშის ცალკეულ კვანძებში და ელექტროპრინციპულ სქემაში ცვლილებები შეიტანეთ და რეკორდულ დროში, თავდაუზოგავი შრომით, 1993 წლის 22 ოქტომბრისათვის ყოველმხრივ გამართული სტაბილიზატორები მეტროპოლიტენის თითქმის ყველა უბანზე (ვარკეთილი — ახმეტელის ხაზზე, ხოლო ცოტა მოგვიანებით — საბურთალოს ხაზზე) დავაყენეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ეს სამუშაოები დააფინანსა დეპარტამენტმა „საქენერგომ".

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს უნდა ვაუწყოთ, რომ ფირმა „თეთრი ქორის" მიერ დამზადებული სხვადასხვა სიმძლავრის სტაბილიზატორები დანერგილია რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ჩვენი ფირმა არის ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც რესპუბლიკისათვის ესოდენ საჭირო პროდუქციას ქმნის. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მოგვმართოს (დოლიძის ქ. კორპუსი 27) და ეს უნიკალური და ახე საჭირო პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს.

ზურაბ შანიძე,
ფირმა „თეთრი ქორის" პრეზიდენტი,

ზურაბ თადუმაძე,
ფირმის ვიცე-პრეზიდენტი.

ნეკროლოგი

გურამ რუხაძე

საქართველოს რესპუბლიკის შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო იუწყება, გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოს [...] წლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს სარეგისტრაციო-საგამოცდო სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გურამ ნიკოლოზის ძე რუხაძე.

შინაგან საქმეთა ორგანოებში შრომითი საქმიანობა დაიწყო 1965 წლიდან, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. [...] წელი საქმის ღრმა ცოდნით, კეთილსინდისიერად ემსახურა რჩეულ პროფესიას. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

პანაშვიდი 20, 21 VI, 4 ს., დაკრძალვა 22 VI, 3 ს., თბილ[...] იაკობ ნიკოლაძის ქ. № 3.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მწერალ თამაზ წივწივაძეს დედის ოლია გერონტის ასულ წივწივაძის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა კვირას, 25 VI, 3 საათზე, თერჯოლის რაიონის სოფ[...] კვახჭირი.

დედა ნაზი, და ციცო, ძმები ხვიჩა, გოჩა, სიძე თემურ ჭე[...]ძე, დეიდები, ბიძები, ბიცოლები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, დისშვილები ნათია და პავლე იუწყებიან რომ გარდაიცვალა ამთო ვლადიმერის ძე ბაღათურია.

პანაშვიდი 22, 23, VI, 5 სთ., დაკრძალვა 24 VI, 4 სთ., ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი
ინდექსი [...]